ბოგდან ჩალი

# ბარვინოკის და გვირილას თავგადასავალი

„ნაკადული“, თბილისი, 1991

84 укр. 7-5
ბ 185

მთარგმნელი
ალექსანდრე ტაბატაძე

მხატვარი
კირა გრიგორიევა

©, „ნაკადული", 1991

70802 — 162
Ч————————— 17 — 91
М — 603(08) — 91

ISBN 5-525-00279-9

## ვინ არის ბარვინოკი?

დიდი სამამულო ომის დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან, სხვა ჯარისკაცებთან ერთად, თვრამეტი წლის უკრაინელი ჭაბუკი ბოგდან ჩალი თბილისში ფეხით ჩამოვიდა. აქ რამდენიმე თვეს იღებდა საბრძოლო მომზადებას. მერე ისევ ჩრდილოეთ კავკასიაში გაიწვიეს და მტერთან ბრძოლაში ჩაება. ომი რომ დამთავრდა, ორდენებითა და მედლებით დაბრუნდა მშობლიურ კიევში. ნორჩებისათვის კარგ ლექსებს წერდა და მალე საბავშვო ჟურნალ „ბარვინოკის" რედაქტორად დანიშნეს. ბარვინოკი უკრაინულად პატარა, ცისფერ ყვავილს ნიშნავს, ქართულად ამ ყვავილს მიწაფერთხა, ან მიწის სურო ჰქვია. მისი ფოთლები ზამთარ-ზაფხულ მწვანეა, და ალბათ ამიტომ, ბევრი უკრაინული ხალხური ლექსია დაწერილი მასზე. საბავშვო ჟურნალსაც ალბათ ამიტომ დაერქვა ამ ყვავილის სახელი. ბავშვები მაინც ხშირად სწერდნენ წერილებს რედაქციას —გვიამბეთ ბარვინოკზე, ვინ არის, ბიჭია თუ გოგო, ბეჯითია თუ ზარმაცი, გულადია თუ მშიშარაო...

ამ წერილებმა გადააწყვეტინა ჟურნალის რედაქტორს, პოეტ ბოგდან ჩალის, დაეწერა პოემა-ზღაპარი „როგორ გახდა ბარვინოკი გმირი". ბავშვებს ძალიან მოეწონათ ზღაპარი. სთხოვდნენ მწერალს, კიდევ დაგვიწერე ასეთი ზღაპარიო. მან შეუსრულა თხოვნა და კიდევ სამი ზღაპარი დაწერა: „როგორ გაფრინდნენ ბარვინოკი და გვირილა ცხრა ზღვის იქით". „ბარვინოკი და გაზაფხული" და „ბარვინოკი სკოლაში". აქვე უნდა ვუთხრა ქართველ ბავშვებს, რომ ბოგდან ჩალი ახლა აპირებს დაწეროს კიდევ ერთი პოემა-ზღაპარი „ბარვინოკი საქართველოში". მწერალი უკვე რამდენჯერმე იყო ჩვენთან. იგი გაეცნო ქართველ ბავშვებს, ჩვენს ბუნებას და მალე მოწმენი გავხდებით ამ ყოჩაღი ყვავილ-ბიჭუნას კიდევ ერთი საინტერესო თავგადასავლისა.

ჩემო პატარა მეგობრებო! ბარვინოკს ახლა კარგად იცნობენ არა მარტო უკრაინაში, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკებში და

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ბავშვებისათვის დაწერილი ასეთი მშვენიერი ზღაპრებისათვის მის ავტორს, ბოგდან ჩალის ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ჩვენი ქვეყნის მწერლებიდან ანდერსენის სახელობის დიპლომის ლაურეატობა.

ჰოდა, მეც გადავწყვიტე გამეცნო თქვენთვის ეს ზღაპრები. ჯერ მხოლოდ ორი ზღაპარი ვთარგმნე—„როგორ გახდა ბარვინოკი გმირი“ და „როგორ გაფრინდნენ ბარვინოკი და გვირილა ცხრა ზღვის იქით“. ასეთი ყოჩაღი ბიჭი მართლაც ღირსია ქებისა. წაიკითხეთ ეს წიგნი, სტუმრად რომ გვეწვევა ბარვინოკი, ხომ უნდა იცნობდეთ მას.

ალექსანდრე ტაბატაძე

# როგორ გახდა ბარვინოკი გმირი

## I

გაახილა თვალი დილამ,
როგორც ბავშვმა, გაიღიმა,
ოქრო-ვერცხლი გადმოფინა,
ხიდან ჩიტი ამოფრინდა.

აჟღურტულდნენ ბეღურები:
—გაიღვიძეთ, გეყურებათ!
მაგრამ ტკბილად სძინავს ბოსტანს:
ბოლოკს, ჭარხალს და კომბოსტოს.
ტკბილად სძინავს პაპა გოგრას,
სიზმარშია, მძიმედ ოხრავს.

სძინავს სოსანს, სძინავს შროშანს
და გულწითელ საზამთროსაც.
გატიკნული ბადრიჯანი
ხარბად სუნთქავს მთელი ჯანით,
იქვე მწვანე ხახვუნია
სახეს უშვერს დილის ნიავს.
იმდენია შუშა-კიტრი,
ბევრიც თვალო, ვერ დაითვლი.
ირგვლივ ნელ-ნელა თბება
და ყველაფერს ეღვიძება
ფრთაფარფატა ლამაზ პეპლებს,
ძირხვენებს და სანელებლებს,
სკაში —ფუტკრებს, ხეზე —ბარტყებს,
მწვანე ფიჭვებს და თეთრ არყებს
და თევზებსაც —ერთი წამით
რომ ჩათვლიმეს წყალში ღამით.

ბალახებში, ლასტის წნულთან
უცებ ვიღაც გაფაჩუნდა,
მერე მოსხლტა, როგორც ქარი,
შეკრთნენ ბოსტნის ბინადარნი.
ყვირის:
—დილა მშვიდობისა!
მე ვარ შვილი ბუნებისა!
დებო, ძმებო, დეიდებო,
ძიებო და მამიდებო,
როგორ მსურდა თქვენი ნახვა, —
ამისრულდა ნატვრა ახლა.

სულ ახლახან დავიბადე,
გავლაღდი და გავიბადრე.
მე ბარვინოკს მეძახიან.
ყვავილი ვარ, ასე მქვია.
ბადრიჯანმა გაიღვიძა,
ფოთლებში რომ დიდხანს იწვა,
გაკვირვება ვერ დაფარა,
ბიჭს სიცილი დააყარა:
—შეხეთ, შეხეთ, ამ მასხარას,
ფეხები აქვს, ვით ზამბარა!
კომბოსტო კი გაიძახის:
—მთლად მწვანეა, როგორც ხახვი! —
მაგრამ ბიჭი არ დაიბნა,
გამბედავი იყო იღბლად,
და გაისმა კვლავ ხმა მისი,
წკრიალა და ქების ღირსი:
—ხომ იცინეთ? ახლა მოდით,
ასეთია წესი ოდით,
სტუმარს პურის ჭამა უნდა,
არ გამიგოთ, ხალხო ცუდად.
აქ ფუტკარი აზუზუნდა:
—მაგრამ რად არ გახსოვს, ძამა,
შრომა უნდა პურის ჭამას! —
საუბარს რომ ყური მოჰკრა,
გაიღვიძა ბრძენმა გოგრამ:
—თუმცა ტანად დიდი არ ხარ,
შენ გულადი ბიჭი ჩანხარ.

იცი ვინ ხარ, ვისი ჯიშის? —
და პასუხობს ხელად ისიც:
—როგორ არა, კარგად ვიცი,
მე შვილი ვარ დედამიწის,
შენ კი —ამბობს, თან ნერწყვს ყლაპავს, —
შენ ხარ ჩემი დიდი პაპა! —
და ბიჭუნა მასთან მიდის
გაბედულად, განა რიდით,
და ლოყაზე ჰკოცნის პაპას:
—რა ეგონათ ამათ, აბა!
—ის ვინაა, იცნობ იმას,
ღობესთან რომ ისევ სძინავს?
— საზამთროა, ძილისგუდა! —
პასუხს აძლევს, როგორც ხურდას,
და საზამთრო, ხსენებაზე,
პირში ეცა იმ ბიჭს ასე:
—თვითონ ვინ ხარ, ერთი გვითხარ,
იტიკტიკებ კიდევ დიდხანს?
ვისი ტიკი-ტომარა ხარ,
ქუჩის ბიჭი ხომ არა ხარ?
—მე ვინცა ვარ, ვიტყვი სხვა დროს,
არ მოვსულვარ თქვენთან სამტროდ.
ჯერ ნუ ჩქარობთ, ჯერ გავიცნოთ,
მერე ვნახოთ, იქნებ მიიმოთ! —
ენას წუთით არ აჩერებს,
ლაპარაკობს, იქნევს ხელებს,
თამამია, თავს არ იქებს,

ხან იცინის, ხან ტიკტიკებს:
—როგორა ხარ, მზესუმზირავ?
მიკვირს, შენც რომ არა გძინავს!
კარტოფილო, ვეღარ გიცან,
გულში ისე ეკვრი მიწას.
ოო! კიტრებო, რა ფერის ხართ,
რა ძალიან გაბერილხართ!
ეს დეიდა ჭარხალია?
არ მინახავს, რა ხანია!
სახე როგორ შეჭარხლია,
მორცხვს ამიტომ ეძახიან!
შენ როგორ ხარ, ვირის თავო,
უჰ, ბოდიში, ნივრის თავო?
ისევ მწარე ხარ თუ არა?
ისევ ცხარობ წარამარა? —



აქ კი გოგრამ შეუბღვირა
და ბარვინოკს შეუყვირა:
—შენც მწარე ხარ არანაკლებ,
გაუჭირე ყველას საქმე!
მოვალე ხარ, სცემდე პატივს,
სტუმარი ხარ შენ ხომ მათი!
—დიახ, დიახ, როგორ არა,
ვაწყენინე ვინმეს განა?
მაშ ვიცეკვოთ ერთად ბარემ,
ისე ვცეკვავ, გაიხარებთ! —
თქვა და მართლაც დაუარა,
ყველას წყენამ გაუარა,
გაუსვა და გამოუსვა,
უცებ ყველა გაისუსა,
მაგრამ ნივრის ხმა გაისმა,
გააქვავა ნივრის რისხვამ:
—რომ დაჰქრიხარ, როგორც ქორი,
რამდენია ორჯერ ორი?
ბიჭი შეცბა ერთი წამით:
—ორჯერ ორი? არის სამი!
—ორჯერ სამი? გვითხრა იქნებ!
ახლა რატომ არ ტიკტიკებ?!
წერა-კითხვა, იცი? გვითხარ... —
ბიჭი ხმას არ იღებს დიდხანს.
მერე ჩუმად ამბობს: —ისე... —
დარცხვენილი იფხანს კისერს.
ბრძენი გოგრა თითქოს მოთქვამს:

—შეარცხვინა ჩვენი მოდგმა!
უვიცია, უსწავლელი,
ამ ბიჭს კარგი დღე არ ელის! —
და ბიჭუნა აღრიალდა,
დიდ-პატარა ახმიანდა...
—ჯერ პატარა ვარ ძალიან,
სწავლისთვის სად მცალია...
ღობის ბოლოს ყვირის ღოლო:
—მე ერთ სიტყვას ვიტყვი მხოლოდ,
თქვენ რომ ცოტა ცოდნაც გქონდეთ,
აგერ კამეებს, ქინძებს, ქონდრებს,
ოხრახუშებს, ჭარხლებს, ხახვებს —
თქვენი საქმე მაშინ ნახეთ!
სარეველა ვერას გიზამთ,
მათგან სწორედ ის დაგიცავთ.
—დიახ, —ამბობს დიდი პაპა,
ბარვინოკთან მიდის სწრაფად —
სწორედ ახლა გინდა სწავლა,
ჯერ სწავლა და მერე გავლა. —
თან არიგებს: — ჩემო ბიჭო,
მომისმინო, ალბათ გიჯობს.
გუშინ ვნახე ფუტკრის ბარტყი,
სხვა ქვეყნისა, სხვა მთის, სხვა ტყის.
იმ ფუტკარმა მითხრა ფიცით:
„ერთი დიდი განძი ვიცი,
თუ გახდება განძი შენი,
შეიქმნები ბრძენთაბრძენი.

კითხვას კარგად ისწავლი და
განათლებულს გაგხდის დიდად.
ამ განძს, მართლაც, რა აჯობებს,
მაგრამ დღე-ღამ დარაჯობენ,
წუთით თვალს არ აცილებენ
მეფე ღიჭას დამცველები,
ვინ გაბედავს მათთან მისვლას,
ვინ აჯობებს მეფე ღიჭას! "

ბარვინოკი შეხტა ცაში,
სიხარულით დაჰკრა ტაში:
—ნუ ვიქნები ბარვინოკი,
იმ განძს მალე თუ არ მოგგვრით!
აქედანვე წავალ ბარემ!
—არა, შვილო, ნუ იჩქარებ!
დიდ ომს, თავად იცი ალბათ,
მოფიქრება უნდა კარგად.
რას გახდები სიამაყით,
თუ არა გაქვს იარაღიც.
ამ კალიას ხომ უცქერი?
ეს იქნება შენი ცხენი.
ყოჩაღია, მოაფრინდი
და გაქუსლე, ინდი-მინდი...
თუმცა, რა დროს წასვლა არის,
არც ქუდი გაქვს, არც შარვალი,
ერთი წყვილი ჩექმაც გინდა —
არ მობრუნდე შუა გზიდან.

აბა განი, განი, განი!
მიაწოდეთ ბიჭს ჩაჩქანი,
ეს შენ შუბი, ესეც ფარი,
ფარი — გიცავს, შუბი — ჰკარი!
აი, ახლა მზად ხარ, გასწი,
ვერ გაჯობებს ვერა კაცი!
დაგვიბრუნდი გამარჯვებით,
ვწუხვართ, ჩვენ რომ აქა ვრჩებით.

გაიხარა ბიჭმა დიდად
და კალიას მოაფრინდა.
შეაყენა ყალყზე ცხენი,
ჩაეჭიდა ფაფარს ხელით:
—ვიცი, დიდი ბრძოლა მელის,
ფიცხელი და საკვირველი.
ერთს ვოცნებობ, ჩემო ხალხო,
მეფე ღიჭა დავამარცხო!
—წერილებს ხომ მოგვწერს ბიჭი?
—მაგრამ, წერა რომ არ ვიცი?
იმ განძს როცა ვაქცევ ჩემად,
დღეში ათჯერ მოგწერთ ყველას! —
დაიძახა მთელი ძალით
და გაფრინდა, როგორც ქარი.

II

მიდის ბიჭი მინდორ-ველად,
დიდი განძის საძებნელად.
მიაგელვებს სწრაფად მერანს,
გაიმარჯვებს —გულში სჯერა.

მარჯვნივ ბაღი მწვანედ ელავს,
მარცხნივ: მწიფე ყანა ღელავს,
თავთავები ნაკვეთებში
ჩანან, როგორც რაკეტები.
სიმინდები დილის ნიავს
წელში ისე მოუხრია, —
ზედ ეტყობათ, შეხეთ ერთი,
მძიმე ტვირთი მოაქვთ ჩვენთვის.
ცად ომი აქვთ შავ-შავ ღრუბლებს,
ერთურთს ისე სცემენ შუბლებს,
თითქოს ბრძოლა გაუმართავთ
ჯიხვებს მთაში, ზეცის კართან.
მათი რქების ჯახაჯუხი
აჩენს, ალბათ, ცაში ქუხილს,
ქუხს და ელავს ხან —იქ, ხან —აქ,
ქუხილს წვიმა მოჰყვა თანაც.
წვიმა არის და რა წვიმა! —
თუთისხელა წვეთი ცვივა.
„თავს ვუშველო უნდა სწრაფად! “ —
ბარვინოკი ეძებს საფარს.
უცებ მუხამ დაუძახა:
—ჩემთან მოღი, ნურსად წახვალ,
მე არ მინდა შენგან გროშიც,
შეძვერ ამ ჩემს ფუღუროში!
ბიჭი პერანგს წურავს უკვე
და კალიას მუხლსაც უქებს...
მალე, როგორც ზღაპარშია: —

ცად ფერადი ჩანს არშია!
გადიკარა ირგვლივ ხელად,
გადირკალა ცისარტყელა.
ხმა გაისმა ტოროლასი,
განა თითო-ოროლასი —
აგალობდა ლხენით ცაში
ერთდროულად ჩიტი ასი,
ბარვინოკიც უკვე მიდის,
წინ გზა უდევს დიდზე დიდი.
მაგრამ ბიჭი რას უცქერის? —
ყანის თავში დარბის მწყერი.
მარცვალს აჭმევს თავის ბარტყებს,
ალბათ ძლიერ შიათ საწყლებს!
თან ასწავლის: —ეს ხოჭოა.
დაიჭიროთ, უკვე დროა!
ფრთები, ფრთები მოიხმარეთ!
—ჯერ ადრეა გასვლა გარეთ! !
ჩამობნელდა. დიდი ძერა
ციდან ბარტყებს ჩუმად ზვერავს,
ემზადება გაიძვერა
ამ საწყლების დასაჭერად.
ეს შენიშნა ბარვინოკმა
თქვა, ამ მსუნაგს აქვე მოვკლავ,
აიტანა, ალბათ წერამ... —
მაგრამ სადღა არის ძერა?!
შეშინდა და შორს გაფრინდა,
გაიხარეს მწყრებმა დიდად.

გზა განაგრძო. უცებ ესმის —
ვიღაც ხვნეშის იქვე ხევში,
ჭაობიდან ითხოვს შველას,
იძირება ნელა-ნელა.
— ტრაქტორი ვარ, მიჭირს, მიჭირს!
მომეხმარე, თუ ხარ ბიჭი!
მთელი დღეა ვშრომობ მინდვრად,
აქ კი... ეს რა მომივიდა!
—არ შეშინდე! —ამბობს ბიჭი,
როგორ გიხსნათ, კარგად ვიცი.
გაზს ნუ აძლევ მთელი ძალით,
ნელა-ნელა დაიძარი.
ხრეშს შევუყრით ბორბლებს ახლა
და სირბილით გახვალ გაღმა.
ასეც მოხდა, იქოთქოთა,
წინ წავიდა, ცოტა-ცოტა...
—კიდევ, კიდევ! უფრო ცოცხლად!
და მშრალ კორდზე გადაჩოჩდა.
მერე ასე აროხროხდა:
—მიწას ისე კარგად მოვხნავ,
გქონდეთ უხვი მოსავალი,
გადგიხადოთ ამით ვალი!

ჩვენს ბარვინოკს ეს რომ ესმა,
შორით ტრაქტორს უთხრა ესღა:
—ჩვენ გმირობას არა ვჩემობთ
და არც ვითხოვთ გასამრჯელოს,

რადგან წესად გვქონდა მუდამ —
გაჭირვებულს შველა უნდა.
შენც თუ კარგად მოხნავ მიწას,
ხალხი შენს მზეს დაიფიცავს,
მოსავალი მოვა ბევრი,
გაივსება ბეღელ-ქვევრი.
ახლა დროა, გზა გვაქვს დიდი —
და ბიჭუნა იმ გზით მიდის.
მიაქროლებს მას კალია,
რაც მართალი, მართალია,
არ ეგონა ასე სწრაფი,
სიჩქარეში ქარსაც სჯაბნის.
უცებ... ეს რა ამბავია?
ცხადია თუ ზღაპარია!
აგერ, იქვე, მომცრო ხევში
მაჩვი მამალს ახრჩობს ხვნეშით:
თან დასჩხავის: —ოხ, შე სამგლევ!
ჩუმად, თორემ შეგჭამ აქვე! —
არ ნებდება ის საბრალო,
ფრთებს იქნევს და ასე წვალობს,
ხოლო მაჩვი უქნევს დანას,
—უჰ, შენიო! —ყვირის თანაც.
ბარვინოკი გადაენთო,
ისე ფიცხი, მთლად აენთო:
—ვუშველოთო, აბა ჩქარა! —
და კალიაც მიიხმარა.

თვითონ მუშტი გაჰკრა მაგრად,
მიაყოლა: —შაქრად, შაქრად!
მერანმა კი სდრუზა ტორი,
დაანარცხა ბუჩქებს შორის!
გაიხარა მამლაყინწამ
და ბიჭუნას უთხრა იმ წამს:
—ჩემო მხსნელო, დიდად გმადლობ,
ვალი როგორ გადვიხადო? —
ჩვენს ბარვინოკს ეს რომ ესმა,
მამალს შორით უთხრა ესღა:
—ჩვენ გმირობას არა ვჩემობთ
და არც ვითხოვთ გასამრჯელოს,
წესად ერთი გვქონდა მუდამ —
გაჭირვებულს შველა უნდა.
ახლა დროა. გზა გვაქვს დიდი! —
და ბიჭუნა იმ გზით მიდის.
ინდი-მინდი, ფერად შინდი,
ბარვინოკი ისევ მიდის,
თან თითებზე დღეებს ითვლის,
განძთან არის უკვე ფიქრით.
ზოგჯერ გვერდზე გადიხრება
და თავის რაშს ეუბნება:
—დაიღალე? ვიცი, მჯერა —
თან ფაფარზე უსვამს ხელებს —
განძი როცა ჩვენ დაგვრჩება,
მხოლოდ მაშინ დავისვენებთ.
ეს რა ხმაა, მე რომ მესმის,

მგონი ბუჩქში ვიღაც კვნესის,
თოლიას ხმას მივამსგავსე,
იმან იცის კვნესა ასე! —
ჰო, თოლია იჯდა იქვე,
მისცემოდა მწარე ფიქრებს:
—მელამ ჭამოს ქვა და ცეცხლი,
რად მომპარა ყველა კვერცხი,
დამინგრია თანაც ბუდე,
ახლა ვითვლი მწარე წუთებს.

საკადრისი ერგო მელას,
ქურდაბაცაცას, ცრუპენტელას,
მაგრამ იქვე საწყალ კურდღელს
კაჭკაჭებმა თავში ურტყეს,
ციყვიც კი არ შეიბრალეს,
უჩიჩქნიდნენ ლამის თვალებს..

ბიჭი ყველას მიეხმარა,
ცუდებს შავი დღე აყარა,
ბოროტება, უთხრა, კმარა,
მოუსვითო აბა ჩქარა,
თორემ ჩხუბი თუ დაგიწყეთ.
გაჩენის დღეს დაგავიწყებთ!
მერე ისე ჩამობნელდა,
სიარული გაუძნელდათ,
ტყის ნაპირზე, მუხის ძირას
წამოწვნენ და ჩაეძინათ.
არც ბალიში, არც საბანი,
არც უბრალო ხელსაბანი...

მაგრამ მაინც სძინავთ ტკბილად,
მოელიან მზიან დილას.
ამ დროს, უცებ გაჩნდა მწყერი, —
მწარედ ტირის, განა მღერის:
—ჩვენს გვირილას ტანჯვა ელის,
თავს დაესხა საწყალს მტერი...
—ვინ გვირილას, ამიხსენი,
არაფერი მესმის შენი!
—ჩემს დაიკოს, თეთრ გვირილას,
ქოხი რომ აქვს ამ ტყის პირას,
ლამაზ გოგოს, კეთილს, კოხტას,
სულ რომ შრომობს თავის ქოხთან,
ოქროსთმიანს და ტკბილხმიანს,
ტანადს, ლამაზთვალებიანს —
თავს დაესხა ნარეკალა,
იღრიალა გარეწარმა:
„გამობრძანდეს, აქ ვინც ცხოვრობს,
შეაფაროს თავი სოროს,
ჩვენმა დიდმა მეფემ ღიჭამ
მე მიბოძა დღეს ეს მიწა.
მე ვარ მცველი მისი კარის
და ეს სახლიც ჩემი არის.
თუ არ გჯერათ —ეს ქაღალდიც!
ზედ ბეჭედიც აზის ნაღდი! —
ჰოდა, ხელად ობობები,
ანუ მისი ძმები, დები,
დაფაცურდნენ გამალებით

და გაჭიმეს ჰამაკები
ტოტებსა და ტოტებს შორის,
ხეებსა და ხეებს შორის...
გვირილა კი შეებრძოლა
მიაყარა თან ქოქოლა,
მაგრამ მარტო რას იზამდა,
განა ორთან, განა სამთან...
ახლა ხელფეხშებორკილი
სარდაფში ზის, მწარედ ტირის.
თქვენ თუ იხსნით, თქვენი გვჯერა,
ერთი მოსცხეთ, როგორც ჯერ არს!
ბიჭი ამბობს:
—მზად ვართ ჩვენა!
და მერანი გააჭენა!
ჰა, მიფრინავს ცაში მწყერი,
ბარვინოკი მისდევს მერნით.
გადიქროლეს მთა და ხევი,
მერე ერთი მოსახვევიც
და... გამოჩნდა ნარეკალაც,
გამარჯვებულს გაეხარა,
ფხიზლად იდგა ერთ ბექობთან
და სამეფოს დარაჯობდა.
ხან თაფლს ჭამდა მგელკაცივით,
ერთობოდა ხანაც იმით, —
შეავლებდა ბალახს თვალს და
გაახმობდა ნება-ნება
და თავისთვის ღიღინებდა:

—გავიმარჯვე, ყველა ხედავთ,
არსად წავალ მე აქედან!
ამ ბაღს მოვხნავ ხვალვე, ხელად
და დავთესავ სარეველას!
ბარვინოკმა მას შესძახა:
—შენ დაგაყრი შავ დღეს ახლა!
დიახ, დიახ, სწორედ შავ დღეს,
თუ არ დათმობ ახლა ამ ტყეს!
მე გვირილა უნდა ვიხსნა,
დავიცალო თუ გინდ სისხლად! —
ჩაეცინა ნარეკალას:
—შენ კი მიწა დაგეყარა!
წერამ ხომ არ აგიტანა?
რას დამაკლებს შენისთანა! —
წინ ბარვინოკს აეტუზა,
მაგრამ ბიჭმა მუშტი სდრუზა,
ნარეკალა შეტორტმანდა,
გადიბრიცა, გადაქანდა
და ქვა-ღორღზე გაიშხლართა.
კვლავ წამოხტა მერე ხელად
და გაქცევით თავს უშველა.
ხოლო გმირი ბიჭი ჩვენი
სარდაფისკენ გაშპა სტვენით,
შეულეწა კარი წალდით
და გვირილას უთხრა მანვე:
— ქალბატონო, გამობრძანდით,
ნარეკალა ვერას გავნებთ,

ის თავხედი, წუწკი, ხარბი,
აგერ, ფართიფურთით გარბის! —
და გვირილას სიხარულით
აუჩუყდა ციცქნა გული.
და ბიჭს უთხრა: —გენაცვალე,
ალბათ ძლიერ დაიღალე,
წამო, ახლა გასადილებ,
დაგიკერებ ამწყდარ ღილებს,
დაგიკემსავ მაგ ჭრელ წინდებს,
მერე მშვიდად დაიძინე.
—არა, თუ არ გეწყინება,
არა მშია, —მეძინება!



აი, ცხენს კი ალბათ შია,
დაუყარე ცოტა შვრია,
უნაგირი უკვე ავხსენ.. —
თქვა და მიწვა იქვე ტახტზე.

## III

ბიჭი ისევ მიჰქრის რაშით
და თავისთვის ფიქრობს გზაში:
„ახლა ნეტა იქ რა ხდება,
მეფე ღიჭას ქვეყანაში?“
ჯერ მშვიდად ზის მეფე ტახტზე,
სულ არ ფიქრობს თავის ხალხზე.
მას მცველების აქვს იმედი,
არვინ ახსოვს თავის მეტი.
ათასგვარი სარეველა
გაუშვია მთად და ველად.
ჭაობები, მყრალი სუნი
და სხვადასხვა ავი სული —
ყველა არის მისი მცველი,
აგერ, უკვე ასი წელი.
ტახტზე ზის და ფიქრობს მეფე:
„დღეს ძაღლები რატომ ყეფენ?
მაჩვი, ნეტა, სადღა არი,
ცოცხალია? თუა მკვდარი?“
შემოვარდა ამ დროს მაჩვი,
მოქცეოდა გვერდზე ღრანჭი.

მ ა ჩ ვ ი

ჩემო მეფევ, უნდა გითხრა...

ღ ი ჭ ა

თქვი და ნუღარ ღეჭავ დიდხანს!

მ ა ჩ ვ ი

ჩემო მეფევ, ომი გვმართებს...

ჭ ი ღ ა

ომი? ვისთან? თქვი სიმართლე!

მ ა ჩ ვ ი

ქათმის წვენი შენ ხომ გიყვარს?

ღ ი ჭ ა

მიყვარს, მერე?

მ ა ჩ ვ ი

მამლის ხორცი შენ ხომ გიყვარს?

ღ ი ჭ ა

მიყვარს, მერე?

მ ა ჩ ვ ი

ჰოდა, ერთ კარგ მამალს მივწვდი,
ისეთს, შენ რომ გიყვარს, ვიცი.

ღ ი ჭ ა

მზარეული! აბა, ჩქარა!

მ ა ჩ ვ ი

შენთის უნდა მომეპარა,
მაგრამ ვიღაც გოლიათმა,
ბიჭმა, განა დიდმა დათვმა,
ისე მაგრად მითავაზა,
მომეჩვენა ერთი ასად!

ღ ი ჭ ა

ვინ ბიჭია?

მ ა ჩ ვ ი

ბარვინოკი.
არ გეგონოს შენ ზოგ-ზოგი,
(სწორედ ამ დროს შემოვარდა
ნარეკალა-ეკალბარდა,
ნაცემია, ძლივსღა დგება...
მეფე კართან შეეგება).

ღ ი ჭ ა

ეს რა ხდება, ამიხსენი,
ვინ გაბედა ცემა შენი!

ნ ა რ ე კ ა ლ ა

იმ ოხერმა, ორთავ თვალი
გამომთხარა... წყალი, წყალი...
ბარვინოკი მოდის აქეთ,
განძი უნდა წავართვაო,
დაიჭირე და უთაქე,
სულ იძახდეს „ვაი-თავოს“

ღ ი ჭ ა

რაღას უცდი, ფელდმარშალო,
დროა, ჯარი რომ გაშალო! —
შეუძახა მაჩვს ცახცახით...

მ ა ჩ ვ ი

დაგვიჯდება კარგი დახლი...

ღ ი ჭ ა

გეშინია, შე ლაჩარო!

მ ა ჩ ვ ი

მეფევ ჩემო, რატომ ცხარობ...

ღ ი ჭ ა

შენ ფელდმარშლად არ ივარგებ,
ჩემს სამეფოს ვერას არგებ,
მეეზოვედ გნიშნავ აქვე,
ეზო გავე, ცოცხიც აგერ!
ჯარს კი... ჯარს კი ვინ წარუძღვეს...
(გაახსენდა მერე უცებ):
კუდიანი დედაბერი
არის სწორედ შესაფერი!
ის გვიშველის, დაუძახეთ,
სადაც უნდა იყოს, ნახეთ!

ხ მ ა

აქ ვარ, ჩემო მბრძანებელო,
ჩემი თავი შემოგევლოს!
(და შემოდის ბებრუხანა,
თავზე ძველი შალი ხურავს,
უკბილოა, უცხვირპირო,
მახინჯი და სასაცილო).

ღ ი ჭ ა

შენი ბრძნული რჩევა მინდა!

კ უ დ ი ა ნ ი დ ე დ ა ბ ე რ ი

რომ დაგჭირდი, გმადლობ დიდად!
ბარვინოკი მოვკლა, არა?

ღ ი ჭ ა

დიახ! ღმერთმა გაგახარა!

მაგრამ როგორ, იქნებ მითხრა?

კ უ დ ი ა ნ ი  დ ე დ ა ბ ე რ ი

ამას რაღად უნდა კითხვა.
ჯარი სულაც არ მჭირდება,
საქმე თვითონ მოგვარდება, —
მთავარია ეშმაკობა,
თუმცა არ ღირს თავის ქება...

ღ ი ჭ ა

ესე იგი...

კ უ დ ი ა ნ ი  დ ე დ ა ბ ე რ ი

რა თქმა უნდა.
ნუ მიიტან შენ დარდს გულთან!
ჭუნა.

## IV

მზიანი დილა გათენდა,
მზე ოქროს სხივებს აფენდა.
სარკესთან იდგა გვირილა,
გადაქცეული ღიმილად,
ვარსკვლავი ცით მოწყვეტილი,
ნაზი, ცქრიალა, კეთილი.
თმას ივარცხნიდა ქარვისფერს
და ღუღუნებდა მტრედივით:
—ადექი, ბიჭო ბარვინოკ,
ხელ-პირი დაგაბანინო,
შეშა მოიტა ეზოდან,
რომ გავამზადო სადილი,

კარგახანია გათენდა,
ჭამა ხომ გინდა ამ დილით. —
ბიჭს შეშა მოაქვს, გოგო კი
გემრიელ სადილს ამზადებს:
—სულ მალე მოიხარშება,
ვიდრე შენ დათვლი ასამდე... —
უცებ ბიჭუნას ეზოდან
ხმა შემოესმა ვიღაცის,
ხედავს მოხუცი ქალია,
შესაბრალისად იძახის:
—ცუდად ვარ, იქნებ მიშველოთ,
სიცხეს ვერ ვიტან, დავბერდი,
ეს რა ყოფილა სიბერე,
დამაწყევლინა თავბედი.
წყალი გექნებათ, ვიქცევი,
ისე ძალიან მწყურია,
ეს სამსახური, სიკეთე,
სხვაგვარი სამსახურია.
მოხუცს კომპოტი მიართვეს,
სასიამოვნო, ცივ-ცივი,
როგორც კი მოსვა, მოკეთდა,
ალაპარაკდა, იცინის:
—რა კარგი სახლი გქონიათ,
ყოჩაღ, ბარვინოკ, ყოჩაღო! —
გვირილას უთხრა, გეტყობა,
კარგად პატრონობ ოჯახსო...
რით გადგიხადოთ სიკეთე,
რა მაბადია, რა გიძღვნათ...

ერთ ფოთოლს მოგცემთ, ოღონდ კი,
მცირედზე თუ არ გამკიცხავთ.
მას ჰქვია თაფლის ფოთოლი,
გამოგადგებათ ზამთრისთვის,
თუ გინდათ ლოკეთ დღე და ღამ, —
ისევ და ისევ თაფლი სდის.
ფუტკრები თავს რად იკლავენ
ამდენი ფიჭის კეთებით, —
ფოთოლი დაცვარულია
თაფლის კრიალა წვეთებით.
აი, გასინჯეთ, ალოკეთ,
ძალ-ღონე შეგემატებათ,
სურდო არ გაგეკარებათ,
აღარც ფილტვების ანთება. —
თქვა დედაბერმა ჩიფჩიფით
და უცებ გაუჩინარდა.
—ეს რა კარგია! —თქვა ბიჭმა
და ხელად ფოთოლს მივარდა.
ალოკა ერთხელ, მეორედ,
ტკბილი წვეთები ეამა:
—მადლობა, ბები, მადლობა,
კარგია, შენმა ლხენამა! —
გვირილა ეჭვობს: —მოიცა,
იქნებ შხამია წასმული,
ეგება ვინმემ მოგზავნა
ვიღაც ბოროტი ავსული?!
—რას ამბობ! —ბიჭი არ იშლის, —

ნახე, რა გემრიელია...
—შენ ხომ საომრად მიდიხარ,
შენიანები გელიან?!
—აღარაფერი არ მინდა,
არც განძი, აღარც ქონება,
იმითაც კმაყოფილი ვარ,
რომ გამიბრუვდა გონება.
—ბარვინოკ, შენ არ შეგფერის
ეს წუთიერი სიამე,
მერე ინანებ, იცოდე,
ადექ, შენი გზით იარე! —
გვირილა წყალზე გაიქცა
(ბიჭი ცოტა ხნით მიჩუმდა),
მაგრამ როდესაც დაბრუნდა,
მაჩვს მოეტაცნა ბიჭუნა.

## V

ხელმწიფესთან მაჩვი მიდის,
გაბედულად, განა რიდით:
— ამ ტომარით, მეფეკ, შენთვის
ძღვენი მომაქვს ერთად-ერთი,
ისეთია, გაიხარებ,
ფელდმარშლობა მომე ბარემ!
ეზოს დაგვა მესირცხვება,
ჯილდო მინდა წყება-წყება.

დამიბრუნე ჩემი ხმალი,
ხომ აღარ მაქვს შენი ვალი... —
მეფე ისევ ცივად შეხვდა.

ღ ი ჭ ა

რას ღრიალებ უთენია!
ეზოს რატომ არ ჰგვი ცოცხით?
ეგ რა ჩაგიხუტებია?

მ ა ჩ ვ ი

ო, მეფეო, რომ იცოდე
ვინ მყავს აქ, ამ ტომარაში,
სიხარულით ტაშს დაჰკრავდი,
იცეკვებდი, როგორც ბავშვი.

ღ ი ჭ ა

რას სულელობ!

მაჩვი

არა გჯერა?
დაგიმტკიცებ, რასაც ვამბობ,
მე ტყუილად როდი ვლაყბობ...
(და ტომარას შეხსნა თავი,
გადმოვიდა ბარვინოკი,
მაჩვმა მუჯლუგუნი წაჰკრა).

მ ა ჩ ვ ი

დაგავიწყდა თავის დაკვრა?
დაიჩოქე, არაკაცო,
თორემ ცემით ტყავს გაგაძრობ!

ღ ი ჭ ა

ხელს ნუ ახლებ, კარგ ბიჭსა ჰგავს.

მ ა ჩ ვ ი

მე რად მცემა, ჰკითხე მაგას?!

ღ ი ჭ ა

მიხვდი, როგორ გაგაცურა
იმ ეშმაკმა ბებრუცანამ?

მ ა ჩ ვ ი

ახი არის, არ იფრთხილა...

ღ ი ჭ ა

იქნებ გვითხრა გულახდილად,
რად მოჰქროდი ჩვენსკენ ჩორთით,
ჩემს სამეფოს რას ერჩოდი?

ბ ა რ ვ ი ნ ო კ ი

განძი უნდა წამერთმია.

ღ ი ჭ ა

ყოჩაღ, ყოჩაღ! შე რა გქვია?

ბ ა რ ვ ი ნ ო კ ი

მე ბარვინოკს მეძახიან.

ღ ი ჭ ა

ასეთ ბიჭებს მე ვცემ პატივს,
ვაჟკაცობა მჯერა მათი.
შენ რომ ჩემთან გემსახურა,
გახდებოდი ფელდმარშალი.
ცოდნა? ცოდნა რაში გინდა,
რას მოიგებ, აბა, სწავლით.
გექნებოდა ბევრი ფული,
კარგი ხმალი და შურდული...

ბ ა რ ვ ი ნ ო კ ი

უჰ, მუცელი როგორ მეწვის!
წამეკიდა თითქოს ცეცხლი,
გამიხსენით ხელი ჩქარა,
ხომ ხედავთ, რომ ქურდი არ ვარ,
საწამლავი შემაპარა
იმ ბებერმა კუდიანმა.

ღ ი ჭ ა

გაგიხსნიან ხელებს, მაგრამ
დაიხსომე აქვე ესეც,
შეიქნები მალე კარგად
და ჩემს ჯარში გაგამწესებ.

და როგორც კი ბიჭს ხელებზე
მაჩვმა თოკი მოაცალა,
ბარვინოკი დადგა ფეხზე,
მკლავში იგრძნო დევის ძალა,
ჯერ მაჩვს გაჰკრა რკინის მუშტი,
გაისროლა, როგორც ბუშტი,
მერე ღიჭას დაეძგერა,
ვით წიწილას ზორბა ძერა,
იბრძოლა და ივაჟკაცა,
ერთხელ ღიჭა ზურგზეც დასცა,
მაგრამ ბოლოს დაიქანცა,
ბოლოს გორდა ხმალიც გაცვდა,
ბოლოს გატყდა მტკიცე ციხეც.
და ხელები გადუგრიხეს.

მეფეს შუბლზე კოპი ეწვის
და გაჰყვირის, როგორც მხეცი:
—კვლავ შებოჭეთ, ნუღარ წვალობთ,
დილით თავი წავაცალოთ!

## VI

გაჩენილო ყოჩაღ ბიჭად,
ხვალ ცოცხალი ვეღარ ივლი,
დაგამარცხა მეფე ღიჭამ
და ჯალათი გიცდის დილით.
ის კალია სადღა არის
შენი ცხენი, ჩქარზე ჩქარი,
აკი მუდამ გვერდით გახლდა,
რას აკეთებს, ნეტა, ახლა?
ან გვირილა სადღა არი,
შენი კარგი მეგობარი?
ალბათ ტირის ის საბრალო,
მაგრამ როგორ მოგეხმაროს?!
თუმცა იმედს ჯერ ნუ კარგავ,
ჯერ ნუ ნაღვლობ, ბიჭო, აგრე,
საქმე წავა ბოლოს კარგად,
ჯერ სიკვდილი არის ადრე.
ხედავ, ზეცამ მოიწმინდა
შენ გიცინის მზე სარკმლიდან.
აგერ ხოჭო მოდის ხვნეშით,
გალესილი დანით ხელში.

ტყვე გამოჰყვათ მოედანზე,
გაიწია ყველამ განზე.
მუსიკის ხმა ადის ცაში,
იკრიჭება უშნოდ მაჩვი.
გრძელცხვირების ასეული,
მაღლა ხიშტებაწეული,
მწკრივად დგანან ეშაფოტთან,
ჩოჩქოლია, ყველა შფოთავს...
—სმენა! —ბრძანებს უფროსი და
მეხი ცვივა თითქოს ციდან, —
ისე ძლიერ დასცხეს მარში,
გამოცვივდა ყველა კარში.
მაჩვი ყვირის: —აბა ჩქარა,
ეშაფოტზე ეს მასხარა!
წინ გაქანდნენ ჯალათები
ყორნისფერი ხალათებით,
მაგრამ მეფემ შეაჩერა,
თქვა: —ჯერ არა, ჯერ არ გინდათ!
მაჩვს გულმოსვლით გადახედა
და წამოდგა სავარძლიდან.

ღ ი ჭ ა

ჩემთან თუ არ იმსახურებ,
ჩამოგახრჩობ, ეს გახსოვდეს!

ბ ა რ ვ ი ნ ო კ ი

სარეველებს ვემსახურო?
არასოდეს! არასოდეს!

ღ ი ჭ ა

მაშ რა ვუყოთ? არც კი ტირის!
სიკვდილის წინ მაინც ყვირის!

მ ა ჩ ვ ი

როცა ჩვენი ზორბა ხოჭო
რქებს გაუყრის, როგორც ნემსებს
და გულ-მუცელს გაუფატრავს,
მაშინაც არ დაიკვნესებს?!

ღ ი ჭ ა

აბა, ხოჭო, დაეძგერე!
იტიკტიკოს ამის მერეც!

მ ა ჩ ვ ი

რაღას უცდით, ჯალათებო,
აქ ხომ არ გსურთ გავათენოთ!
ჯერ დაჩხვლიტეთ და აწამეთ,
მერე თავი წააცალეთ!

ღ ი ჭ ა

მოდი, ცოტაც მოვიცადოთ
და ერთი რამ კიდევ ვცადოთ:
გააგზავნეთ სწრაფად კაცი,
მოიტანოს ჩვენი განძი,
ნახოს მაინც, რისთვის კვდება,
თორემ ალბათ გული სწყდება
(ამ სიტყვებზე მაჩვს შიშისგან
უცებ გული შეუქანდა...
მაინც გარბის და ძუნძულით
სარდაფიდან მოაქვს ჩანთა).

ლელა ენგა

ამ ჩანთაში არის წიგნი —
ხალხის ცოდნა, ხალხის ფიქრი,
წაიკითხავ, ბრძენად გაქცევს,
აგამაღლებს, მზემდე აგწევს.
მაგრამ, ვაი, რომ ეს წიგნი
აქ დარჩება სამუდამოდ,
შენიანებს ვეღარ მიჰგვრი,
რომ წუხილი დაუამო.
აქ გაგითხრით ახლა საფლავს
და წიგნს შენთან ერთად ჩავფლავთ,
რადგან ცოდნა და სინათლე
არის ჩვენი დიდი მტერი,
არც სიკეთე, არც სიმართლე —
ჩვენ არ გვინდა არაფერი!
ხალხს რომ ცოდნა ჰქონდეს ბევრი,
გვეყოლება ბევრი მტერი! —
ხმამაღლა თქვა მეფემ ეს და
რაღაცა ხმა შემოესმა.
—რა ხმა არის? რა როხროხებს,
აზანზარებს ამ ჩვენს ქოხებს?!
მე მესმის თუ გესმით ყველას?
უცებ მის წინ გაჩნდა მელა:
—გაიქეცით, მეფევ, ჩქარა,
თავს დაგვესხნენ ტრაქტორები,
ყამირს ხნავენ... უკვე ჩანან —
უთხრა მელამ დაღონებით.

გუგუნებენ ტრაქტორები,
წინ მიდიან ტანკებივით,
ყამირს ხნავენ, ხნულში ცვივა
სარეველა დაკეპილი.
მათ მამლების ჯარი მოსდევს,
მწყრების გუნდი მოჩანს ცაში:
—გავაშენებთ ჩვენ აქ ბოსტანს,
რა მიწაა! ტაში, ტაში!
ბარვინოკი სადღა არი
ჩვენი კარგი მეგობარი?
შეშინებული მეფე ღიჭას
სიბრაზისგან ეკვრის კრიჭა:
—ცოცხალია ბარვინოკი?
მოუჭირეთ ყელზე თოკი!
—მოიცადეთ! —ყვირის მელა, —
დაგვჭირდება იგი მხსნელად!
ჩვენს ფეხებთან ეგდოს ასე,
ტრაქტორების სავალ გზაზე.
მხოლოდ ასე შევაჩერებთ
ამ ურჩხულებს. ვნახოთ მერე.
მეფე ბრძანებს: —მართალს ამბობს,
ეშმაკობა გვმართებს ამ დროს! —
და ბარვინოკს მიუბრუნდა:
—შენ თვითონვე გვიხსნა უნდა!
მაჩვი ყვირის: —სწორი არის!

დაუკარი მეფეს თავი
და გაჩერდი შორი-ახლოს,
რომ სუყველამ დაგინახოს!
ხელებშეკრულ ბარვინოკთან
მიცუნცულდა ახლა მელა:
—დაუძახე, ცოცხალი ვარ,
აღარ მინდა თქვენი შველა...

ბიჭი დგას და ხმას არ იღებს
და ნაბიჯით უკან იხევს.
—დაუძახე! —ორი ბზიკი
ბრაზით ზუის აქეთ-იქით,
და ბიჭუნამ დაიძახა:
—დასცხეთ ამათ, ნუღარ წახვალთ!
არ დაინდოთ სარეველა,
გულიანად დასცხეთ ყველას! —
სიბრაზისგან მეფე ღიჭას
სახე ისე დაეღრიჯა,
ვით ურჩხული, თვალებიდან
ბღუჯა-ბღუჯა ცეცხლსა ჰყრიდა:
—მოკვდეს, რადგან ჯიუტია —
და ბზიკები მიუსია.
მაგრამ უცებ საიდანღაც
ბიჭი მწყერმა დაინახა,
მიფრინდა და ფრთაზე დასვა,
თქვა: —ვუშველოთ ახლა თავსა!

მიფრინავენ ის და მწყერი,
ყველაფერი ირგვლივ მღერის...
—ეს ვინ არის? —ყვირის ბიჭი —
გვირილაა, ვიცი, ვიცი... —
მას კალია მოაფრენდა,
ცხენი მინდორს მტვერს ადენდა,
ბარვინოკის დასახსნელად
მოდიოდა თურმე ყველა.

რა ხდებოდა ამ დროს ქვემოთ,
ღიჭას მოხნულ ქვეყანაში?
მეფის მცველთა ვაი-ვიში
ადიოდა მაღლა ცაში.
მაჩვს კბილები ჩამტვრეოდა,
მელას კუდი დაეკარგა,
ყველაფერი დაეფარა
ტრაქტორების გუგუნ-ხარხარს.
მამლები კი მუსრს ავლებდნენ
ხოჭოების ჯიშს და ჯილაგს —
კენკავდნენ და ზეიმობდნენ,
მათაც საქმე გაეჩინათ.
კუდიანი დედაბერი
მეფე ღიჭას სთხოვდა შველას,
თავს წაადგა ტრაქტორი და
იმათი მზეც ჩაესვენა.
სადღა არის ჭაობები,
ყველაფერს რომ აობებენ,

ამნაირი ველ-მინდორი
არ იქნება ალბათ არსად,
ყველაფერი ისე ჰყვავის,
უხარია გულსაც, თვალსაც.
ოჰო! შეხეთ, იმ ძველ ქოხთან
ტრაქტორი რად აროხროხდა?
—ჰეი, სად ხარ, გმირო ბიჭო,
ჩქარა ჩემთან გაჩნდე, გიჯობს...
გამომართვი, გესმის, განძი,
მისი ძებნით დავიქანცე...

გამოართვა ბიჭმა ჩანთა,
ჩანთა ბიჭზე დიდი ჩანდა.
ბარვინოკი ბექზე შედგა.
ასე უხმოდ იდგა ერთხანს.
მერე ქუდი სტყორცნა მაღლა
(სიხარულით როგორ ღელავს! )
და ხმამაღლა დაიძახა:
—დიდ მადლობას გიხდით ყველას!
ახლა დროა უკან წასვლის,
განძი უკვე არის ჩვენი,
სტუმრად გიწვევთ იქ, ბოსტანში,
ჰოდა, იქ ვთქვათ დანარჩენი!

## VII

ბარვინოკის პაპის ბოსტანს
მზე დაჰნათის გაზაფხულის

და შორიდან ისე მოჩანს,
ვით სამოთხე არნახული.
ზეიმია დიდზე დიდი,
ყველა მისალოცად მიდის.
ხალხი გმირ ბიჭს ეგებება
ისე, როგორც ეკადრება.
აგერ ისიც, მიაბიჯებს
და ხელს უქნევს გოგო-ბიჭებს.
მას გვირილა მისდევს გვერდით,
მომღიმარი, სახეთეთრი.
ყველა ხარობს და ზეიმობს,
სიმღერები ცაში ადის...
—გამარჯობათ, ნათესავნო,
ავისრულე ხვაშიადი! —
როგორც წესი, ბიჭი სამჯერ
აისროლეს ხელით ცაში,
წინ გაუძღვნენ გამარჯვებულს,
არ წყდებოდა დიდხანს ტაში.
—რა ჩანთაა, რა ლამაზი,
სავსე არის სიბრძნით, აზრით... —
ბიჭი ამბობს: —მოითმინეთ,
შიგ რაც არის, ერთად ვნახოთ,
მარტო ჩემი არ გეგონოთ,
თქვენიც არის განძი, ხალხო! —
წუთით შედგა, შეისვენა,
მერე ჩანთა გახსნა მშვიდად
და იქიდან „დედა ენა“,

ვით მნათობი, ამობრწყინდა!
„დედა ენა“! ცოდნის წყარო!
ბიჭო, ღმერთმა გაგახაროს!
—აი თურმე რა ყოფილა,
ამ წიგნს წიგნი არ სჯობია!
საზამთრომ თქვა: —სკოლაში ხომ
დავდიოდი მეც ამ წიგნით,
გარედან რომ ლამაზია,
უნდა ნახოთ ახლა შიგნით!
კაცმა რომ თქვას, უამწიგნოდ
ჩვენს ცხოვრებას რა ფასი აქვს,
ტკბილი არის დედასავით,
დედასავით ლამაზია. —
გაშალეს და გადაფურცლეს,
„აი ია“, „აი ია“,
სიხარული ამას ჰქვია,
გამარჯვებაც ამას ჰქვია.

# როგორ გაფრინდნენ ბარვინოკი და გვირილა ზღვის გაღმა

ცა მტრედისფრად გაიცრიცა,
ოქროს მთვარე ვერცხლად იქცა.
გაიზმორნენ ზორბა მთები,
გამოესხათ ქარებს ფრთები,
გადუქროლეს არე-მარეს —
ტყეებს, მინდვრებს, მთებს და ჭალებს...
ხატას თავზე თითქოს კვამლი
დაუხატავს მხატვარს ყალმით.

პაპა იგნატს საბალახოდ
ძროხა მიჰყავს ბოსტნის ახლოს.
აედევნა შვილიშვილი:
—თქვენ მომყევით, მე წინ ვივლი!

ორისეი სახლში დარჩა —
დედაბერი ფაფას ხარშავს.
ადუღდება ქვაბში ფაფა
და დავიწყებ თქვენთვის ზღაპარს.

I

ხატასთან[1] დგას ბერი მუხა,
მუხას რკო აქვს თურმე უხვად.
კენწეროზე ბუდეც მოჩანს,
უმარჯვნია ვიღაც ფრთოსანს,
დააკვირდით აბა კარგად! —
დგას ყარყატი გრძელნისკარტა.

ბუდეში დგას ქარისფრთება,
ჩანს, ვიღაცას ელოდება.
ასეც არის. აგერ, მასთან
სხვა ყარყატი ტოტზე დაჯდა.
ისაუბრეს, ეს ქნეს, ის ქნეს,
და გაფრინდნენ მდინარისკენ.

სიცივეა. მზე ცად არ ჩანს,
შემოდგომა ხეებს ძარცვავს.
უსტვენს ქარი წარამარა,
მინდვრებს თეთრი ნისლი ფარავს.
ქარი უტევს მინდვრებს, ბაღებს
და ხმელ ფოთლებს თავბრუს ახვევს.

---

[1] ხატა —ქოხი, სახლი

მობუზული სხედან ჩიტნი,
ძლივს ბედავენ ზოგჯერ ჭიკჭიკს:
—შემოდგომა ისე დადის,
არაფრის აქვს თითქოს დარდი!
—შემოდგომა რას დაგვაკლებს,
ცოტა სითბო რომ არ აკლდეს:

—ბაყაყებიც მიმალულან,
მათაც სცივათ, მიტომ სდუმან.
ჩვენც ვემზადოთ, ალბათ დროა,
ხვალ-ზეგ უკვე თოვლი მოვა,
არვინ იცის ხვალ რა გველის,
დიდი გზა გვაქვს გასავლელი!

—თქვენ კი, ჩვენი სოფლის ცაო,
ველ-მინდორო, ტყევ და მთაო,
ჩვენს წასვლას ნუ ჯავრობთ ახლა,
გაზაფხულზე ისევ განახავთ.

აბა, ახლა ყველა იქით!
დაფიქრებით, წესით, რიგით,
იმ მინდვრისკენ, სადაც მუდამ
გაფრენის წინ ვსხდებით გუნდად!

—მოიცადეთ! —სტვენს უფროსი
გასაგონად ყველა ფრთოსნის —
წრეს მოვხაზავთ სოფლის თავზე,
მერე წავალთ ჩვენ ჩვენს გზაზე!

## II

პაპა გოგრა უმზერს ძახველს
და ჩურჩულებს იმის სახელს.
ამბობს:
—ასეთ ლამაზ ნაყოფს
ვერ მოისხამს ქვეყნად სხვა ხე.

პაპას თავზე ნელა-ნელა
დააფრინდა, ვით პეპელა,
წითელ-ყვითლად მობროიალე,
მოშრიალე, პეპლისხელა.
—რა არისო? —შეკრთა პაპა
და მას ხელი სტაცა სწრაფად,
„დაატყვევა“ იგი ხვნეშით
და. ფოთოლი შერჩა ხელში.
და იმავ წამს სხვა ფოთოლი
დააფრინდა მხარზე თრთოლვით,
სხვა —ჯიბეში ჩაუფრინდა,
მას სხვა მოჰყვა მაღალ ხიდან,
მოფრინავდნენ წითელ-ყვითლად,
—ექვსი, შვიდი. —პაპა თვლიდა.

მოერია სევდა გოგრას,
ნაღვლიანი დგას და ოხრავს
—ყველაფერი როგორ გახმა!
ეხ, ზაფხულო, სად ხარ ახლა?!
ან, ბარვინოკ, სად ხარ შენა?
მოდი, პაპას უნდა შველა! —

თქვა ეს გოგრამ და ანაზდად
ბარვინოკი გაჩნდა მასთან.
ბიჭს გვირილა მოჰყვა უცებ —
დგას და ქარი ურხევს ფურცლებს.
—გამარჯობათ! —თქვეს და იქვე
აჭიკჭიკდნენ, ენად იქცნენ.
—შეხეთ, თითქოს ზღაპარია!
რა ლამაზი მთა-ბარია!

თითქოს ცეცხლი მოსდებია
ბუჩქებს წითელფოთლებიანს!

შეხეთ ასკილს —წითლად ღუის,
მის ნაყენთან ყველა ტყუის!
ოქროსფერი დაჰკრავს ტყეებს,
მუხებს, რცხილებს, არყის ხეებს...
ბრძენი პაპა უხმოდ ზის და
თავის სათქმელს ამბობს მშვიდად:
—ეს ნიშანი არის ზამთრის,
თოვლის, ჭყაპის, ქარის, ავდრის.
მალე თეთრად ჩამობარდნის,
თოვლში გახვევს დაღლილ მინდვრებს,
ეძინებათ თოვლქვეშ მშვიდად,
გაზაფხული მოვა ვიდრე.

და გვირილა შიშით ჰკითხავს:
—დიდო პაპავ, ესეც გვითხარ,
ვისაც თოვლქვეშ ასე სძინავს,
ცივი თოვლი არ გაყინავს?

—არა, შიში ნუ გაქვს სულაც,
ჩვენ ვიქცევით თესლეულად.
ნაჭუჭებში ჩვენივ ნებით,
როგორც ქურქში, ჩავთბუნდებით.
იქ ვიქნებით, სადაც თბილა.
გვეძინება ყველას ტკბილად.
მერე მოვა გაზაფხული,
გაგვაღვიძებს მხვნელ-მთესველი,
გარეთ გავალთ სიხარულით,
რომ ამწვანდეს მთა და ველი,
მზე იქნება ისე ბევრი,
გაიხარებს ყველაფერი.
—ფრინველები? მათ რა იხსნის? —
უცებ ბიჭის ხმა გაისმის.
—მათ გზა ელით ძალზე გრძელი,
იქით, სადაც მუდამ თბილა,
ქვეყნები რომ ჰქვიათ ცხელი
და მზე ათბობს ყოველ დილას.
იქით წავლენ ფრენა-ფრენით,
ვერ მისწვდება ყინვა ჩვენი —
ბარვინოკი სიხარულით
ჭიკჭიკებს და დავლურს უვლის:
—ყველაფერი იცის პაპამ,
სხვას ასეთი ვის ჰყავს, აბა!
სულ ბოსტანში ზის და იცდის,
ყველაფერი მაინც იცის!
სიბრძნეს ამბობს, ამბობს ზღაპარს —

მეცნიერი არის პაპა!
პაპა ამბობს:
—უმაღლესში
არ მივლია მე ჩემს დღეში,
მაგრამ ცოდნა არ მაკლია
და ნასწავლი მეცა მქვია,
როგორ? გეტყვით ერთი სიტყვით —
სიბეჯითით, წიგნის კითხვით.
წიგნით ვიცი, სად რა არის,
სად აფრიკა, სად აზია,
სად სულ ცხელა და სად ცივა,
სად —კუბა და ანტარქტიდა!
სად —ეგვიპტე და ფლორიდა!
ბარვინოკი წამოფრინდა:
—უცხო მხარეს წასვლა მინდა!
გადავივლი ცხრა მთას, ცხრა ზღვას,
ვნახავ ქვეყნებს სულ სხვადასხვას.
თვითონ ვნახავ უცხო მხარეს,
ზამთარს მეც იქ გავატარებ,
ოღონდ მითხარ, ეს ოცნება
სინამდვილედ რომ ვაქციო
და თბილ ქვეყნებს მივაღწიო,
რამდენი დღე დამჭირდება?
ამ სიტყვებზე შეცბა ღობე,
პაპა გოგრა ახარხარდა:
—ერთი წელიც არ გეყოფა,
ძნელიც არის, ამის გარდა!

ან რად გინდა ხეტიალი,
ეს ხომ მეტისმეტი არი.
სახლში დარჩი, გენაცვალე,
და ზამთარი გავა მალე.
ჰოდა, ვიდრე ჯერ ზამთარი
არ მოსულა და დგას დარი,
მოვიწვიოთ ჩვენი კრება, —
ეს ურიგო არ იქნება, —
ვითათბიროთ, ვიკამათოთ,
ერთურთს ჩვენი დარდი ვანდოთ,
ხმამაღლა ვთქვათ, რაც გვაქვს ფიქრში
და წავიდეთ ჩვენ ჩვენი გზით.

დაუსტვინა გოგრამ ხელად
და მიაწყდა ღობეს ყველა.
ეს —ნიორი შვიდპერანგა,
ეს —ბოლოკი —გოგოს არ ჰგავს?!
ეს —კომბოსტო მოდის ხვნეშით,
ძლივს უჭირავს ხელში ნესვი.
მზესუმზირა მოაბიჯებს,
წინ მოუძღვის თავის ბიჭებს,
ეს ლობიო, ესეც ქინძი,
ძლივს იკავებს ხახვი სიცილს...
არის ერთი ჟრიამული,
ისმის ხმები მხიარული:

—ჩვენზე ცუდი რომ არ ეთქვათ,
ვმუშაობდით, ოფლსა ვღვრიდით,

არ ვუფრთხოდით სიცხეს, სეტყვას,
მოსავალიც ხომ გვაქვს დიდი!

ყველამ ვიცით, უშრომელად
არაფერი არ შენდება,
უშრომელად, ყველას გვჯერა,
ქვეყანა არ დამშვენდება...
ზოგ ზარმაცს რომ თვალი მოჰკრა,
აიმართა წელში გოგრა:
—საწყენად რომ დარჩეთ თუნდაც,
დღეს ზარმაცებს დავცხოთ უნდა!

შენ ბარვინოკ, აბა ყველას
აქ მოუხმე სათითაოდ,
ვინც თავი ვერ ისახელა,
ერთი მაგრად ვაბურთაოთ,
ხოლო კარგად ვინც იშრომა,
მას მადლობა ვუთხრათ, დროა.

და პირველი სიტყვა ბიჭმა
შვიდპერანგა ნიორს მისცა.
წინ წამოდგა თეთრკბილება,
ვინც ბევრს სულ არ ეტკბილება,
ამაყად დგას, რადგან სჯერა,
იმუშავა, როგორც ჯერ არს.

—მე ხალხს იმდენ ნიორს ვაძლევ,
რომ ეყოფა ქვეყნის ბაზრებს,
ჩემით არის, იცით მგონი,
გემრიელი ღორის ქონი.

ბარვინოკი გვერდით უდგას
და ნიორი მას თვალს უკრავს.
—თუ გსურს იყო სავსე ღონით,
ნივრით ჭამე ღორის ქონი!
უნივროდ ხომ არ ღირს ბორშჩიც!
რაც მინდოდა ვთქვი და მოვრჩი!

ეთანხმება გოგრა პაპა
და მიუგებს ნიორს სწრაფად:
—მშრომელიც ხარ, სასარგებლოც,
სულ კეთილი გზებით გევლოს!

ბოსტნეულის ისმის ხმები:
—გეთანხმებით, გეთანხმებით!
ამ ხმაურში ღობისპირას
წინ წამოდგა მზესუმზირა.
—ვუპატაკებ მე ჩვენს კრებას:
დაამთავრეს ჩვენი კრეფა,
არის გეგმა! რა ვთქვა მეტი,
ხალხს ექნება ბევრი ზეთი!
მზესუმზირა სიტყვას მორჩა,
შეუძახეს: ყოჩაღ! ყოჩაღ!

ახლა ჯერი არის ვისი? —
გოგრის ბოხი ხმა გაისმის,
—ალბათ თქვენი —და წყვილ ბოლოკს
მიაშტერა თვალი ბოლოს.

—ჩვენ დიდები სულაც არ ვართ, —
ისმის მათი ხმა წკრიალა. —

მაგრამ კრებას უნდა ვუთხრათ,
ჩვენც ვამშვენებთ მუდამ სუფრას.
ვირჯებოდით ჩვენ ორთავე,
არ ვიღებდით მაღლა თავებს,
არ ჩამოვრჩით დიდად ვინმეს,
ვაგროვებდით ვიტამინებს.
ბადრიჯნებიც წვიმა-თქეშში
ჩვენ გვშველოდნენ ამ საქმეში,
მხარში გვედგნენ პამიდვრები,
თალგაპები და კიტრები...

ვით სპორტსმენი დაუღლელი,
გზაზე მორბის ძია ხრენი:
—ცუდად არც მე გავისარჯე
ჩემი ღვაწლიც მსურს ხალხს დარჩეს —
მოვიგონე საწებელა,
მოიწონებს, ალბათ, ყველა.
ცხარე ვარ და ვინც დამყნოსავს,
მოადგება თვალზე ცრემლი,
მაგრამ სუფრას მეც ვამშვენებ,
პირშუშხა ვარ გემრიელი!

მას ფეხდაფეხ მოჰყვა ცერცვი:
—მათქმევინეთ სიტყვა ერთი!
ხალხთან მეც ვარ პირნათელი,
მოვიხადე გუშინ ვალი,
ვაგონებით გავუგზავნე
ჩემი უხვი მოსავალი.

ცერცვიც თავის სიტყვას მორჩა,
შეუძახეს: „ყოჩაღ! ყოჩაღ! “

აქ გვირილა იღებს სიტყვას,
აქამდე რომ მორცხვად იდგა.
ესალმება კრძალვით ყველას
და წითლდება, ჩანს, რომ ღელავს:
—არ ჩავდივარ მე გმირობას,
თუმც ვასრულებ ჩემს პირობას,
ყვავილს, ბალახს ვიცნობ მრავალს,
ყოველ დილას ტყეში დავალ
და ვაგროვებ სამკურნალოდ,
ვიცი რისთვის, ვისთვის ვწვალობ.
ვკრეფ ასკილს და ხარისვარდას,
მრავალძარღვას, პიტნას, ანდა
სხვა ბინადარს ტყის და ველის,
რაც ავადმყოფს, ვიცი, შველის.
—ყოჩაღ, გოგო! —ამბობს პაპა,
დაუკარით ტაში, აბა!
გვირილა კი თითქოს მოსთქვამს:
—ზოგჯერ მიჭირს ბარვინოკთან,
ზარმაცია, ცუდად სწავლობს,
მაგის გამო მეცა ვწვალობ...
ესა თქვა და სწორედ მაშინ
ბარვინოკი მისწვდა თმაში
და მოკურცხლა —შარას ეცა,
მაგრამ ნიორს ვერ გაექცა.

ორივ ხელით ადგილზევე
გააქვავა ცელქი ბიჭი
და გვირილას დასაცავად
წინ წამოდგა გოგრამ ბიჯი.
გადუშალა „დედა ენა“
(ეტყობოდა ხმაში წყენა)
უთხრა:
—აბა, წაიკითხე,
მერე კიდევ მოგცემ კითხვებს.
მობუზულა ბიჭი ისე,
მხრებში მალავს გამხდარ კისერს,
ჩავარდნია ენა თითქოს,
ხმას ვერ იღებს, დგას და ფიქრობს.

მას გვირილა ბრაზით უმზერს
და ბიჭუნა სკდება გულზე.
—ეს რომელი არის ასო? —
და პასუხობს, ხოჭოს ჰგავსო.
—ეს „ჯანია“, გესმის „ჯანი“,
ამ ასოთი დაიწყება
სიტყვა „ჯოხი“ ანდა „ჯამი“.
ეს რაღაა, იცნობ ამას?
—ძალიან ჰგავს თავკომბალას...
—ამას ჰქვია ასო „ბანი...
ბიჭი ვერ ცნობს ვერცერთ ასოს,
არაფერი აღარ ახსოვს,
იმას ცდილობს, ყველა ვინმეს,
ანდა რამეს მიამსგავსოს —

„ინი“ —ნალს და „კანი“ —ნამგალს,
„განი“ —სურას, „რაე“ —ჩანგალს,
მისთვის „ჰაე“ ჰგავს სავარცხელს...
თქვეს: ეს ბიჭი ყველას გვარცხვენს...

პაპა გოგრა ცხარობს უფრო,
სულ ცეცხლებს ჰყრის, რომ საუბრობს.
სიზარმაცის გამო ბიჭი
გვარიანად გააწითლეს,
ბოლოს პაპამ ესღა უთხრა:
—სხვა დროს ამას არ მოგითმენ!

ეს იყო და უცებ ცაზე
ყარყატებმა წრე მოხაზეს.
თბილ ქვეყნებში გაფრენის წინ
კიდევ ერთხელ დასხდნენ გზისპირს.
კვლავ ესტუმრნენ მშობელ მხარეს,
გადახედეს არემარეს,
გზისპირიდან მერე ადგნენ
და ბოსტანთან გადინაცვლეს,
მიესალმნენ გოგრას კრძალვით
თბილ ქვეყნებში წასვლა ამცნეს:
—თქვენთან ყოფნას რა სჯობს, მაგრამ
ვშიშობთ, ზამთრის ყინვა დაგვკრავს,
ვერ გავუძლებთ ჩვენ ცივ ზამთარს,
გასაფრენად უკვე მზად ვართ...

არ ისვენებს ბარვინოკი,
ფრთოსნებს შორის მიჰქრის, მოჰქრის,

მაგრამ შეხეთ, უცებ რა ქნა,
ერთს ბუმბულიც კი აწაპნა.

არ ისვენებს ერთი წუთით,
მირბის, მორბის, ვით ციბრუტი.
წინამძღოლთან მიდის იგი,
ეკითხება ყარყატს რიხით:
—არ წაგვიყვანთ თქვენთან ერთად
ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვას იქით,
თუ წაგვიყვანთ, სულ არ დაგღლით
არც ცელქობით, არც ტიკტიკით.
ვოცნებობდით ძილშიც, ცხადშიც,
მეც, გვირილაც ერთი ციდა, —
შეგვძლებოდა ფრენა ცაში,
გადმოხედვა ერთხელ ციდან.

—ეჰ, ბარვინოკ, სამშობლოდან
კაცი სადმე წავა განა,
შენი მიწა სხვას გერჩიოს,
სხვა სად არის ამისთანა!
დაიხსომე: უცხო მხარეს
ვერასოდეს გაიხარებ
და იმასაც გეტყვი ბარემ,
ვერც ვერასდროს შეიყვარებ.
უცხო მხარე არვის სწყალობს,
იქ ბულბულიც კი არ გალობს.
სხვა ყარყატმა უთხრა ასე:
—ბევრი შიშიც გველის გზაზე,

ხან არწივი თავზე გვესხმის,
ხან ვიღაცა ტყვიას გვესვრის,
ძნელი გზა გვაქვს გასავლელი
და ხიფათი გვიცდის ბევრი.
ნურსად წახვალ, დარჩე გიჯობს
შენს ბოსტანში, ცელქო ბიჭო!
და მესამე ეტყვის ახლა:
—თუმც პატარა ბიჭი ჩანხარ,
ყოჩაღი ხარ და გულადი,
რახან წასვლა გინდა, წადი!
ბევრ ქვეყანას ნახავ თვალით
და ბევრ რამეს შეისწავლი.

ნიორს უკვირს, ხელებს შლის და
ამბობს:
—აბა, იქ რა გინდათ?!
დღე არ გელით თქვენ იქ კარგი,
შეგჭამთ ლომი, ან ნიანგი.
იცი ლომი? სულ დაგფხრიწავთ,
არ გეგონოთ მეფე ღიჭა!
გოგრამ ველარ მოითმინა,
საუბარში ჩაერია:
—ნეტავი რამ შეგაშინათ,
გონება რამ აგირიათ!
დე, წავიდნენ ორივენი,
გადასერონ მთა და ველი,
ნახონ უცხო ქვეყნები და
დაგვიბრუნდნენ მშვიდობითა.

მერე გვითხრან, იქ რა ნახეს,
რა სიძნელე გადალახეს.
ეხ, მოხუცი რატომა ვარ, —
არც ვიფიქრებ, ხვალვე წავალ!

შუბს დასტაცა ბიჭმა ხელი,
ყვირის:
—წავალთ! ჰერი, ჰერი!
ჰკოცნის პაპას, ჰკოცნის ნიორს,
ხან კისკისებს და ხან მღერის.
დააფრინდა ყარყატს ფრთაზე
და გვირილაც იქვე დასვეს.
—გვითხარ, ხომ არ გემძიმება? —
ყარყატს გულში ეცინება. —
—რის სიმძიმე? —ამბობს იგი. —
მზად ვარ გავჩნდე ცხრა ზღვას იქით,
მერე ფრთებს შლის, გარბის წინ-წინ,
გაფრენის წინ როგორც იცის.
—მოიცადეთ! —ყვირის გოგრა,
უჩვეულოდ ღელავს, ბორგავს,
დიდ ფოთოლში გოგრის მარცვლებს
ახვევს ფრთხილად და სათუთად
და ბარვინოკს ისე აძლევს,
ვით ჯადოსნურ, ზღაპრულ ფუთას.
—გქონდეს, შვილო, თუ დაგჭირდეს,
თუკი სადმე გაგიჭირდეს,
გადაყარე ეს მარცვლები
და იმ წუთას იქ გავჩნდებით.

გასაჭირში ჩვენი ჯიში,
სადაც იყო, მუდამ გიხსნის!
ერთი რამეც უნდა გითხრა,
ვერ ვიცოცხლებთ ჩვენ იქ დიდხანს,
ჩვენს ჯიშს, იცი, გოგრა ჰქვია,
იმ სიცხეში ჩვენ ვერ ვხარობთ,
ამიტომაც შეგვიძლია
მხოლოდ ერთხელ მოგეხმაროთ. —
გამოართვა ბიჭმა ფუთა
და შეკრებილთ ესღა უთხრა:
—კარგად გნახეთ, მეგობრებო,
დებო, ძმებო, მეზობლებო,
არ იდარდოთ, არ იჯავროთ,
უკვე დროა, რომ ვიჩქაროთ,
მალე მოვა გაზაფხული,
ამწვანდება ველ-მინდვრები
და იმედი გქონდეს სრული,
ისევ თქვენთან დავბრუნდებით.
წინამძღოლი ყარყატების
ცად აიჭრა თეთრი ფრთებით,
მერე სხვებიც წამოფრინდნენ,
დიდ ფრთებს ქარში ლაღად შლიდნენ...
დაინახა უცებ ყველამ —
კორდზე ხტუნვით გარბის ვიღაც,
ყვირის:
—მეც იქ მინდა ფრენა,
ბარვინოკთან ყოფნა მიყვარს!

ბარვინოკმა ხელად იცნო
ის, ვინც ერთხელ გულით იძმო —
ეს ხომ რაში იყო მათი,
გაბედული და გულადი
გუნდი ფრენით ადის ცაში,
მარტო რჩება დაბლა რაში.

## III

არც ცაში დგას კარგი დარი,
კივის ქარი, ვით აფთარი,
ცას მიაპობს ფრთოსანთ გუნდი,
არ ისვენებს არსად წუთით.

მანქანები, ტყე და ყანა,
სახლები და გზები, მთები
ძირს, მიწაზე ისე ჩანან,
როგორც სათამაშოები.
მიჰქრის გუნდი ცაში მწკრივად,
გაჭიმული ლამაზ მძივად,
თბილად სხედან ბუმბულებში
ბავშვები და სულ არ სცივათ.

ამოსძახის მათ ყარყატი:
—როგორა ხართ, ხომ არ გიჭირთ,
ხომ არ გცივათ, ხომ არ გშიათ?
—კარგადა ვართ! —ყვირის ბიჭი, —
თითქოს ლამაზ სიზმარში ვართ!

წინამძღოლი ღრუბლებს კვეთავს,
თან იძახის:
—ქვემოთ ხედავთ?
რა ლამაზად ჩანან მთები,
ჩვენი წყლები, ჩვენი ტბები.

ეს —სულაა , ის —ირპენი,
აგერ დესნა, როგორ ბრწყინავს,
გაუგია წასვლა ჩვენი
და ბავშვივით მოიწყინა!
დედა დნეპრი როგორ ღელავს,
გვეთხოვება ისიც ყველას.
იქ ტყე არის, იქ კი —ჭალა,
თითქოს ხელისგულზე ჩანან,
დრო არა გვაქვს, თორემ ახლა
რომ ავიდეთ უფრო მაღლა,
გამოჩნდება სანაქებო
სოფლები და ქალაქები,
სახლები და გზები მათი
და ბოსტანიც პაპა გნატის.

ბიჭი ყვირის:
—დედას ვფიცავ,
ლამაზია ჩვენი მიწა,
მსგავსს ვერ ნახავს კაცის თვალი
ზღაპარია, ნატვრისთვალი!

---

1სულა, ირპენი, დესნა, დნეპრი —უკრაინის მდინარეები

გვირილა კი: —შეხეთ, ქვევით
ვიღაც მორბის კისრისმტვრევით!
უგზო-უკვლოდ მორბის, ჩქარობს,
გადმოევლო ხევს და ჭაობს,
მორბის, მოფრენს, როგორც ქარი,
ეს ხომ ჩვენი რაში არის!
დაღლილა და დაქანცულა,
მაინც მოჰქრის მამაცურად.
მასაც ჩვენთან უნდა ფრენა,
წავიყვანოთ, თქვენმა ლხენამ!
და ყარყატი გულკეთილი
ძირს ეშვება, ფრთებზე ისვამს,
მერე ისევ ცადაჭრილი
ემსგავსება ნასროლ ისარს.
—კვლავ ერთად ვართ! ვაშა! ტაში! —
და მიჰქრიან სამნი ცაში...

მიჰქრის გუნდი ყარყატების,
უკან დარჩა მწვანე მთები.
სამხრეთის ცა ლურჯად ელავს
და ბარვინოკს უკვე სცხელა,
ოფლში ცურავს ბიჭი სულმთლად,
შუბლს იწმენდს და ძლივსღა სუნთქავს.
დაუსველდა რაშსაც დრუნჩი
და ყარყატსაც სუნთქვა უჭირს.
ეკითხება ყარყატს ბიჭი:
—ეს რა მოჩანს ქვემოთ ლურჯად?
—შავი ზღვაა!

—ვიცი, ვიცი!
დასასრული აღარ უჩანს!
—უკვე მშია, როდის მივალთ?
—მოითმინე, ყველას გვშია.
ჯერ ბევრი გვაქვს გასავლელი,
ზღვა შეგვხვდება კიდევ ბევრი.
—რა მთები ჩანს გოლიათი,
თოვლით თეთრად დაფერილი? —
და პასუხობს ბიჭს ყარყატი:
—ეგ მთებია აპენინის.
მერე ყვირის: —ყველა მწკრივში!
წინ ღრუბლები მოჩანს შავი,
არ გაივლოთ გულში შიში,
წესი, რიგი დაიცავით!

უცებ ისე ჩამობნელდა,
რომ ბარვინოკს ეცა ელდა.
დაიქუხა ზათქით, ზავთით,
დააყრუა ყველა ლამის,
გაიელვა და წყვდიადი
გაანათა ერთი წამით.

შავ-შავ ღრუბლებს ჰკვეთენ მკერდით,
ყველა იბრძვის, როგორც ერთი.
უკან დარჩა დარი ავი,
დააღწიეს გრიგალს თავი.
ყარყატის ხმა ისმის ისევ:
—როგორა ხართ? ხომ არ გიჭირთ?
კუნძულამდე მალე მივალთ! —

და პასუხობს ფრთოსანს ბიჭი:
—რომ იცოდე, როგორ გვშია!

არ გასულა ერთი წუთიც,
ღრუბლებიდან, როგორც ბანდა,
არწივების დიდი გუნდი
ღრიანცელით გამოვარდა.
ბარვინოკი უკვე ხედავს
მათს ცეცხლოვან თვალებს, კლანჭებს,
წამოვიდა ყველა ერთად,
საეჭვოა, რომ გადარჩეს!

გულში ამბობს: —ვაჟკაცობა
აი, სწორედ ახლა გვმართებს.
მე ვუტირებ მაგათ ყოფას —
ას არწივს და მათს ას მართვეს!

ბანდა მგზავრებს თავს დაეცა,
დააბნელეს ფრთებით ზეცა.
—მედგრად! —ისმის ხმა გამჭოლი
ყარყატების წინამძღოლის.

ამოძრავეთ სწრაფად ფრთები!
მოიმარჯვეთ ნისკარტები!
მოემზადეთ, ბრძოლას ვიწყებთ,
ნისკარტები მაგრად მისცხეთ!

გაიმართა ომი დიდი,
დიდი ბრძოლა გააჩაღეს,

წინამძღოლი ყვირის: —მიდით,
არ დანებდეთ ამ ყაჩაღებს!
ბარვინოკი ერთხანს შეკრთა,
არ იცოდა, რაღა ექნა,
მერე შუბი გაახსენდა —
იქვე იდო, თავის ცხენთან.
ჰოდა, ხელი სტაცა კიდეც,
თან გვირილა დაამშვიდა:
—ბუმბულს მაგრად ჩაეჭიდე,
მეტი არაფერი გინდა!
აიმართა წელში დინჯად,
მოიმარჯვა შუბი ბიჭმა
და ერთ არწივს, ძალზე ვერაგს,
შიგ გულმკერდში დააძგერა.
ძირს დაეშვა ის არწივი,
—ვაი, მომკლეს! —კივის, წივის.

ახლა სულ სხვა წამოვიდა,
ბოროტი და ავი დიდად.
დააძგერა მასაც შუბი,
გაუხეთქა ლამის შუბლი.
მერე სხვები მოდგნენ ჯარად,
მათი ფრთები ზეცას ფარავს.

ბიჭი ხედავს, ორ დიდ არწივს,
წინამძღოლის მოკვლა უნდა, —
ბარვინოკი წამით ასწრებს
და მტერს საქმე მისდის ცუდად.

გაიმარჯვეს! გარბის მტერი,
მიატოვა ბრძოლის ველი,
შუბიც მიაქვს ერთ-ერთ მათგანს,
გარჭობილი ფერდში მაგრად.
—ჩვენიცა თქვან ახლა ზოგი!
გაიძახის ბარვინოკი, —
ბრძოლა გვქონდა და რა ბრძოლა!
შეხეთ, ზეცა თითქოს ბოლავს!

წინამძღოლი ყარყატების
მიაქროლებს ბავშვებს ფრთებით,
თან ბარვინოკს აქებს: —ყოჩაღ!
მტერი შენმა შუბმა ხოცა!

გუნდი ისევ სივრცეს კვეთავს,
მიაღწევენ მალე მიზანს.
ვიღაც ყვირის: —მიწას ვხედავ,
ეს ნამდვილად არის მიწა!

დავიქანცეთ ამ გრძელ გზაზე,
დავსხდეთ კუნძულ ტულუმბასზე,
სულ მზე ათბობს ამ მთა-გორებს,
მისწრებაა ჩვენთვის სწორედ.

უკეთესს ვერ ნახავს თვალი,
ხარობს პალმა და ბანანი,
ჭაობებიც არის ბლომად,
მოვემზადოთ დასასხდომად.

თქვენც, ბავშვებო, აქ დარჩებით,
გევლოთ მუდამ გამარჯვებით.
დაიხსომეთ ოღონდ ერთიც —
აქ სიფრთხილე გმართებთ მეტი.

მდინარესთან როცა მიხვალთ,
გაიხსენეთ —ჯუნგლებში ხართ,
ნიანგები შეგსანსლავენ,
გაუფრთხილდეთ უნდა თავებს.

არ გეგონოთ აქ ბოსტანი,
გამოიბით ასი თვალი.

არ გასულა ხუთი წუთი
და მიწაზე დაჯდა გუნდი.

გადმოყრინდა ხელად რაში,
ბარვინოკმა დაჰკრა ტაში,
რაშს მოახტა ბიჭი ფიცხლად,
არც გვირილა დაივიწყა, —
ისიც უკვე გვერდით უზის,
თეთრი, როგორც იალბუზი.

ყარყატების წინამძღოლი
ეთხოვება ბაშვებს თრთოლვით:
—კარგად გნახეთ! გაიხარეთ!
თქვენგან ახლა მე ერთს ვითხოვ:
მშობლიური ჩვენი მხარე
არასოდეს დაივიწყოთ!

## IV

და ჯუნგლებში დარჩნენ სამნი, —
მკვიდრნი ჩვენი ქვეყნისანი.
თუმცა გმირი ყველგან გმირობს,
თუმცა კარგად უჭრით მუხლიც —
სიფრთხილეა აქ საჭირო,
სავსე არის მხეცით ჯუნგლი.
თბილი სიო ბალახს არხევს
და უგრილებს ბავშვებს სახეს,
ირწევიან ყვავილები
ქარით, განა თავის ნებით.
აქ ყვავილიც დიდი არის
და ფოთოლიც ძალზე დიდი,
ზოგი —როგორც სკოლის ზარი,
ზოგიც ჭრელი —როგორც ჩიტი.

—ტყეა მართლაც საკვირველი,
არც ნაძვი და არც ცირცველი,
არსად არყი, არსად ფიჭვი —
ხელებს შლის და ჰკვირობს ბიჭი.

გვირილა კი სწუხს სხვა რამეს:
—სად გავათევთ ნეტა ღამეს?!
ვინ გვიშველის ჩვენ აქ, ნეტა,
აი, კიდეც ჩამობნელდა!
სად გავათევთ, თქვი, ბარვინოკ,
გარეთ როგორ დავიძინოთ?

არსად ქოხი, არსად სახლი,
დასვენება გვინდა დაღლილთ!
—თქვენ ნუ შიშობთ! —თქვა კალიამ, —
ისეთ ხატას ავაშენებ,
მოვისვენებთ ყველა ტკბილად
და ამ ჯუნგლსაც დავამშვენებ.
რაშმა ფოთლებს ტორი გაჰკრა,
მიდგა-მოდგა მერე მართლაც
და ისეთი ქოხი დადგა,
თვალიცა და გულიც დატკბ
—გთხოვთ მიბრძანდეთ, შედით, ნახეთ! —
გაებადრათ ბავშვებს სახე.
მერე უცებ ჩამობნელდა,
სამხრეთული დადგა ღამე.
თვალი ვეღარაფერს ხედავს,
ვერც პალმებს და ვერც ლიანებს.
იქვე ახლოს კოღო წუის,
მოშორებით ლომი ღმუის.
კუტკალიას უკვე სძინავს,
სიზმარშია, ტკბილად ხვრინავს.
ბიჭი ამბობს: —ძლიერ მშია!
გოგო ამბობს: —განა შინ ვართ?!
—შიმშილისგან კუჭი მეწვის!
—ჩუმად, თორემ შეგვჭამს მხეცი!
გაახსენდა გოგოს უცებ,
რომ ეკიდა თოფრა გულზე.
ადგა, უცებ მოხსნა პირი,

ამოიღო ქონი ნივრით,
სამჯ კვერცხი, ცოტაც პური —
სუფრა გაჩნდა შესაშური!
გაიხარა ყველამ დიდად.
ახმაურდა უცებ ტევრი.
ეს —მხეცები ძრწიან ტყეში,
მათ აქ ყოფნას მიხვდნენ გეშით.
—ჩუმად ჭამე, ალბათ ტყიდან
გვეპარება უკვე მტერი! —
თქვა გოგონამ და ბიჭს ერთი
მაგრად წაჰკრა ხელი ფერდში.
ბარვინოკმა ასანთს გაჰკრა,
წაუკიდა ხმელ ტოტს ცეცხლი:
—შუბი რადგან არწივს გაჰყვა,
იმ შუბს ახლა ცეცხლი შეცვლის!
გაანათა ცეცხლმა ხატა
და ორივეს გაეხარდა,
გული კარგად გაიმაგრეს
და მხეცებიც სადღაც გაქრნენ.

—ახლა მშვიდად დაიძინე,
შენ ვერავინ შეგაშინებს,
ჯერ მე ფხიზლად გიდარაჯებ,
ხელში ასანთს მოვიმარჯვებ,
შენ მე შემცვლი, შენ კი —რაში, —
ეუბნება გოგოს ვაჟი.
და გვირილაც მიწვა იქვე,
დაღლილია, ძალას იკრებს,

მას სდარაჯობს ბარვინოკი,
ვერ აშინებს მხეცთა ჯოგი.

აი, ისევ რაღაც ღმუის,
გოგო ძილში ყვირის: —უი!
მაგრამ წითლად ელავს ცეცხლი,
შიშით უფრთხის კოცონს მხეცი.

ბარვინოკსაც ეძინება,
უკვე ფეხზე ძლივსღა დგება,
თვალებს ისრესს, თან ამთქნარებს,
მოწყენილი უცქერს მთვარეს.

სურს გვირილა გააღვიძოს
და ცოტახნით მიწვეს თვითონ,
ვერ აღვიძებს, ებრალება,
ზის და ძილი ეპარება.

შემცვალეო, ვეღარ უთხრა,
ჩაეძინა. მძიმედ სუნთქავს...
არ გასულა დიდი ხანი,
გაახილა ბიჭმა თვალი.
და რას ხედავს: —აი ჭირი! —
ფეხები აქვს შეკოჭილი!
როგორც მხეცი შეპყრობილი,
ალყაშია მოქცეული,
ზოგი უსტვენს, ზოგი ყვირის,
მოჩანს ხალხი უცხო რჯულის.

არის ერთი ღრიანცელი...
ბავშვებს კარგი დღე არ ელით,
ვიღაც ყვირის ჰაი-ჰარად:
—მიაბითო ბოძზე ჩქარა!

თბილი ქარი ქროლავს ზღვიდან,
მთვარე ცაზე ჰკარგავს ძალას,
ირიჟრაჟა... მზე გაბრწყინდა
და მხეცებიც აღარ ჩანან.

ბარვინოკი ხედავს, იქვე
გვირილა წევს შებოჭილი,
მისცემია გოგო ფიქრებს,
სადღა არის ტკბილი ძილი!

თავს იწყევლის ბიჭი მწარედ,
ბრბო კი უსტვენს და ხარხარებს...
—გმირს კი არა, ვგავარ ბატკანს! —
ბიჭს არ ესმის, რა სურთ მათგან.

ღრიანცელი ცაში ადის.
ზოგს ფერი აქვს შოკოლადის,
ზოგი არის ისე შავი,
გაუმურეს თითქოს თავი.

—რა გსურთ ჩვენგან, მე არვიცი! —
ნერვიულად ყვირის ბიჭი, —
ჩვენ ყველაფრის გვინდა ცოდნა,
ჩვენ კეთილი ზრახვა გვქონდა,
შორი მხრიდან გადმოვფრინდით,

ხიფათებს არ შევუშინდით,
ჩვენ არა ვართ მტრები, გესმით,
აბა, თავზე რატომ გვესხმით!

მე ბარვინოკს მეძახიან,
გვირილა კი გოგოს ჰქვია.
ეს რაშია, ჩვენი რაში
ისეთია, ფრინავს ცაში.

ერთი ციცქნა ბიჭი უცებ
შუბს ბარვინოკს აჭერს გულზე:
—ჩვენი მტრები არ ხართ ვითომ?
გავერკვევით მალე თვითონ!
მე ვარ ყავა, შავი ყავა,
როგორიც ვარ, იცი თავად,
მე მსოფლიო მიცნობს კარგად,
ჩემი გემო სხვისას არ ჰგავს.
მაგრამ ბედი არა მწყალობს,
სამშობლოში ვეღარ ვრჩები,
მყიდულობენ, უმოწყალოდ
მსვამენ შენი თეთრი ძმები.

მეორემ თქვა, ყვითელ-მწვანემ:
—თქვენ სიცოცხლე გამიმწარეთ!
არ გვიბრალებთ ჩვენ, ბანანებს,
ჰოდა, ახლა მეც განანებთ!
დამწიფებას არც კი გვაცლით,
მოგვკრიფავთ და ისე გაგვფცქვნით,
დაგიშავეთ რამე თითქოს,
თითო ფუთი გინდათ თითოს!

სკუპ! გადმოხტა ახლა გირჩი,
თავზე დიდი კოპი აზის:
—შემომხედე, ვინ ვარ, იცი?
მე ვარ ტკბილი ანანასი!
ჩვენც მოვწონვართ თეთრკანიანს,
ჩვენი წვენი სად არ მიაქვთ,

გვყიდიან და გვყიდულობენ,
უმოწყალოდ ტყავს გვაძრობენ!
ჯაშუში ხარ შენ ბამბუკის!
—ჯაშუშიო? —ტუსაღს უკვირს —
შემიძლია გითხრათ ფიცით
რა ხილია ეგ ბამბუკი,
დამერწმუნეთ, სულ არ ვიცი!
—მომაშორე ხელზე თოკი! —
ეუბნება ბარვინოკი, —
სჭრით და კერავთ სახის ფერით,
სულ არ გესმით არაფერი.
ჩვენს ბოსტანში უთვალავი
ფერის ცხოვრობს ბინადარი,
ჯერ არ უთქვამს ვინმეს ავი,
შავი, მწვანე, ვინ რად არი!
მეგობრულად ცხოვრობს ხალხი,
ლურჯი ია, მწვანე ხახვი,
ძმებს ვეძახით მწვანე კიტრებს,
მისი ფერი არ გვაკვირვებს,
ბადრიჯანი არის ლურჯი,
მაგრამ უჩვენობა უჭირს.

ყვითელია მზესუმზირა,
მაინც ყველა უცქერს ძმურად.
საქმე როდი არის ფერში,
ფერს რა დალევს ბოსტან-ტყეში, —
მთავარია, ვინ ვინ არი,
მტერია თუ მეგობარი!
ჩვენ შორს წასვლა რაღად გვინდა,
აი, ღიჭა, მაგალითად:
გარეგნულად კეთილია,
ფეხს არ ადგამს თითქოს ჭიას,
ჩემს მტერს, ის ვისთანაც მივა.
ახლა თოკი მომაცილე,
არ ვეგონო მხეცი ვინმეს
და ბამბუკზე მითხარ რამე,
ვინ არის და რას გიშავებთ.
—ახლა უკვე გაგიცანით, —
ეუბნება მას ბანანი
და... თვალები დააჭყიტა:
გამოვარდა „ჯიპი“ ტყიდან!
—მტერი მოდის თოფით ხელში! —
და შეცვივდა ყველა ტევრში.
უცნაური ისმის ხმები
და ხრჭიალი მუხრუჭების,
ნარეკალა უზის საჭეს,
მოჰქრის ისე, გზას არ არჩევს.
და მუქარაც უკვე ისმის:

—ამოგხოცავთ ყველას ისრით,
ხელს გაანძრევს ვინმე თუკი!
მსახური ვარ მე ბამბუკის! —
და ბავშვებმა თითქოს იცნეს
ნარეკალას გვერდით მჯდომი:
—გაჭიმულა „ჯიპზე“ ისე,
მგელი უნდა იყოს მგონი, —
შორიდანვე ჰგავდა თავხედს,
მგელსაც ჰგავდა, მაჩვსაც ჰგავდა
და ვერ იცნეს, რადგან სახეს
მას ჩაჩქანი უფარავდა.
დგას მზიანი კარგი დარი,
პალმებს ოდნავ არწევს ქარი.
ზედ მიკრული ჩანან თოკით
გვირილა და ბარვინოკი.
ბიჭს გვირილამ ჩასჩურჩულა:
—ნაგაზია, მგონი, სულაც.
—არც ნაგაზი და არც მგელი,
ჩვენ აქ კარგი დღე არ გველის.
მაჩვი არის, დედას ვფიცავ,
არ მეშლება, უკვე ვიცან.
მხეცი ყვირის: —აქ საიდან?!
ჩამოფრინდით ნუთუ ციდან?
—ხომ გითხარი, არის მაჩვი,
შემოსილა სულ სხვა ფარჩით.
—მე უბრალო არ ვარ მაჩვი,
დიახ, მე ვარ მისტერ მაჩვი!

ნარეკალაც მხეცს ჰგავს სწორედ,
გვირილას თვალს არ აშორებს:
—დაგვალული კია, მაგრამ,
თან წავიყვან, აბა, რა ვქნა?
რახანია, მარტო დავრჩი,
მემსახუროს იქნებ სახლში.
მაჩვი ყვირის: —არც გსურთ თითქოს?!
მადლობელი უნდა იყოთ!

აიჩეჩა ბიჭმა მხრები:
—აქ საიდან, ვერა ვხვდები?
ნარეკალა მოვსპე კოხტად,
კვლავ გაცოცხლდა, თუ რა მოხდა?
მაჩვი ამბობს: —მე იქიდან
წამოვიღე მისი თესლი,
აქ მიწიდან ამოვიდა,
გაიხარა. ახლა გესმის?
ეს მითხარი, შენ აქ თვითონ
შენი ფეხით მოხველ ვითომ?
ეგ ტიკტიკი ახლა კმარა,
სულ ამაოდ ასე ცხარობ,
ანგარიში ჩვენ კი არა,
დროა, თვითონ ჩაგვაბარო!
—მოღალატევ! —ყვირის ბიჭი.
—შენ კი ჩემი ტყვე ხარ, იცი?
კრინტი! თორემ მოგკლავ ისრით.
მე ბამბუკის ვარ მინისტრი!
თავი მოაქვს პატრიოტად!

მოდით, ერთი მისცხეთ ცოტა!
მოდით მეთქი, რაღას უცდით?
—ვერ გაუძლებს, არის სუსტი.
—ამ გოგოს კი შენი ჯიბრით
მე წავიყვან სახლში „ჯიპით“.
ნარეკალამ ხელად ბავშვი
შეისროლა მანქანაში,
ჩართეს ძრავა და მოუსვეს,
წამში სადღაც გაქრნენ უცებ.
არასოდეს ტირის გმირი,
მაგრამ ახლა ბიჭი ტირის,
გოგო მიჰყავთ, ის ვერ შველის.
დგას და სცვივა ცხარე ცრემლი.

## V

შორი გზით რომ კაცი მიდის,
ხან აწვიმს და ხანაც ათოვს.
დარი იდგეს თუნდაც მშვიდი,
გზა ვინ ნახა უხიფათო?

ეს იცოდა ბიჭმა კარგად,
ფხიზლად იყო, სხვებს კი არ ჰგავს.
შეხვედრია მგელს და ტურას,
უბრძოლია ვაჟკაცურად.

იმედი არ დაუკარგავს,
იცის, შიში რომ არ ვარგა.

ხელფეხს უხსნის მას ბანანი:
—საქმე მოხდა დასანანი! —
ლუკმას აწვდის ანანასი.
—ცოტა ტკბილი წვენიც მასვი! —
ბოდიშს უხდის ყავა ციდა:
—გვაპატიებ ალბათ, ბიჭო,
გულით გიძმოთ ყველას გვინდა!

—ხომ იყავით მათზე ბევრნი,
რად შეცვივდით შიშით ტევრში?
მაჩვს და იმის ნარეკალას
რისი თავი ჰქონდათ განა?
რად არ ებრძვით, რად არ უტევთ,
ამდენ ჩაგვრას რატომ უთმენთ?
—იარაღი ჰქონდათ ბევრი,
ჩვენ კი —თითქმის არაფერი.
მაგათ მეფედ ბამბუკი ჰყავთ,
მისი მგმობი ყველა მიჰყავთ,
სტანჯავენ და თავსა სჭრიან,
ქვეყნად არვის ეშინიათ.
აბა, ბამბუკს რას ვაჯობებთ,
ბოროტია, ეჭვიანი,
თან დღე-ღამე დარაჯობენ
კაქტუსები ეკლიანი.
დღეს აჯანყდა ჩვენი ხალხი,
დროშას დაბლა აღარ დავხრით!
—ეს კარგია, ჩემო ძმებო.

ჯერ გვირილა უნდა ვძებნოთ,
მეც მიგულეთ მერე თქვენთან,
შევებრძოლოთ ბამბუკს ერთად.
—მეთაური იყავ ჩვენი,
ჩვენ ვიცოდეთ დანარჩენი!
თავს დავეცეთ მის სასახლეს!
ჩვენი რჩევა იღე ყურად.
გამოვტაცოთ ბავშვი ძაღლებს,
ის იქა ჰყავთ მათ მსახურად.
დავატეხოთ თავზე რისხვა,
ტყვეობიდან გოგო ვიხსნათ,
ბრძოლა გველის ჩვენ მედგარი,
ეს შენი —შუბი! ესეც —ფარი!
მოეწონათ ბარვინოკი,
ეხვევიან, ჰკოცნის ზოგიც,
მაგრამ ბიჭი ხმას არ იღებს,
მისცემია სულ სხვა ფიქრებს.

ბიჭს სასწრაფოდ ერთმა ყავამ
კარგი რაში მოუყვანა.
ბარვინოკმა ცხენს კი არა,
არ შეხედა არც იარაღს.

ყავა ამბობს: —აბა რა ვქნათ,
სისხლის დაღვრა არ გვსურს, მაგრამ
ჩვენ ბამბუკი გვაჩანაგებს,
სხვა გზა არ გვაქვს, უნდა აღვსდგეთ.

ბიჭი უსმენს და მზად არის
დაეხმაროს დაჩაგრულებს,
რისხვით დასცეს მტერს თავზარი —
ვინც მათ ასე ანადგურებს.

მას ბანანი ეუბნება:
—უფროსობა შენი გვნებავს.
ჯერ დრო არის, მოდი, ბარემ
გადაავლე თვალი ჯარებს.

დაუსტვინა, დაჰკრა ტაში
და დაიძრა ჯარი მარშით.
აგერ, მოდის ნიანგების
მხედრიონი —ღირსი ქების,
ბეჰემოტი არის სწორედ —
წინ რომ უძღვის მამაც ლომებს.

ჯიქები და მარტორქები,
ბიზონები და ვეფხვები,
სპილოები მთების ხელა
და გველები მახრჩობელა —
მოაბიჯებს მწყობრად ყველა.

ანანასი მომღიმარი
ამბობს: —ხომ გვყავს ბევრი ჯარი?
ტყეში კიდევ სხვაც გვყავს მრავლად,
ერთხმად გირჩევთ მხედართმთავრად!

ბარვინოკი შეჯდა რაშზე
და ანანასს უთხრა ასე:

—არ გეწყინოთ. ახლა წავალ,
მხედართმთავრად გყავდეთ ყავა.
უფროსობა მას ეკუთვნის,
არ იფიქროთ სხვაზე წუთით.
მე უბრალო ტურისტი ვარ,
ვმოგზაურობ, სხვა გზით მივალ.
აქ უფლება არ მაქვს ომის,
მიმიხვდებით ყველა, მგონი.
ხოლო გოგოს დასახსნელად
თესლეულს ვთხოვ ახლა შველას. —
ყავამ ცრემლი დაიოკა,
მოეხვია ჩვენს გმირს ძმურად,
ის იქ დარჩა. ბარვინოკმა
გაუვალ ტევრს მიაშურა.

## VI

ნარეკალა ცხოვრობს ტკბილად,
შორიდან ჩანს მისი ვილა.
თუმც შტერია და ჩერჩეტი,
მსახური ჰყავს ასზე მეტი —
ობობები, ხოჭოები
და მრავალი ლოკოკინა.
მეფე ბამბუკს ის ჰყავს ფარად,
აჯილდოებს წარამარა.

ყოველ დილით დგება ადრე
და ყველაფერს ჭრის და ამტვრევს.

ჭრის მაგიდებს, ფანჯრის რაფებს,
რაც მოხვდება, ჭრის ყველაფერს.
ჭრის, ამტვრევს და ანადგურებს
ღობეს, ხეებს თუ მსახურებს.

არც არავის არ იბრალებს,
პალმებს ჭრის და ჭრის ლიანებს.
საჭმელად რომ სადმე წავა,
წინ იმძღვარებს იქაც დანას.
ტოტიანად ჭრის ლიმონებს
და ბანანის მწვანე კონებს,
უმიზეზოდ ჭრის ანანასს,
ამბობს, მეფემ ასე ბრძანა.

შავკანიან ყავის ბავშვებს
როგორც მგელი, ისე დასდევს,
დაიჭერს და ყუთში ამწყვდევს,
არ იცოდებს იგი საწყლებს.

ხომ არის და არის ფლიდი, —
ღორმუცელაც არის დიდი.
ჭამს უზომოდ, სვამს უზომოდ,
თუმც არასდროს არა შრომობს.

ხოჭო ღორის ფეხს მიართმევს,
ობობა კი —შემწვარ ქათმებს,
სხვა მსახური —სხვა საჭმელებს...
ჭამს და მერე ძლივს ინელებს.

დაუშვებენ მერე ფარდებს,
ჩაკეტავენ ყველა კარებს,
ემსგავსება ჯურღმულს ბინა,
ნარეკალა წევს და ხვრინავს...

გვირილაც აქ იტანჯება
ბნელ სარდაფში დამწყვდეული,
უკვე ერთი კვირა ხდება
მშიერია, მისდის გული.

ერთხელ მასთან ნარეკალა
შედის, არც კი აძლევს სალამს:
—ბორში მინდა! —ეუბნება —
გამიმზადე, ასე მნებავს!
გერიელ ბორშს თუკი მაჭმევ,
დღესვე გიშვებ, სიტყვას გაძლევ!

გაეხარდა გოგოს დიდად,
სარდაფიდან გამოფრინდა.
მიდგა, მოდგა თეთრი კაბით,
ცეცხლზე შედგა დიდი ქვაბი,
კომბოსტო და ხორცი დაჭრა
და შეუდგა ბორშის ხარშვას.

მოიხარშა. დიდი ჯამით
წინ დაუდგა კერძი ცხელი,
ეუბნება: —მიდი, ჭამე,
ბორში არის გემრიელი!

უკაინულ ბორშთან, აბა,
როგორ მოვა სხვა საჭმელი
(ნარეკალა ხვრეპავს სწრაფად,
თუმცა პირს სწვავს კერძი ცხელი),
—მგონი კმაყოფილი ჩანხარ,
მეც გამიშვა, დროა ახლა!
ამოხვრიპა სამი ჯამი,
ვეღარ ძღება ხარბი ჭამით.
თან იძახის: —ეს ბორშია?
წყალწყალაა! კიდევ მშია!

მაშინ გოგომ გულმოსულმა
წამოავლო იმ ქვაბს ხელი,
გადაასხა თავზე სულმთლად,
რაც შიგ დარჩა შეუჭმელი...

მთლად გაცოფდა ნარეკალა:
—ობობებო, აბა, ჩქარა!
ასი წკეპლა ზურგზე დასცხეთ
და სარდაფში ჩაუძახეთ!

გოგო ისევ სარდაფშია,
ნაცემია, სტკივა, შია,
ვერ გაექცა სულთამხუთავს
და უთვალავ აბლაბუდას.

—ბარვინოკი სადღა არი,
ცოცხალია, თუა მკვდარი?
დაატყვევა იქნებ მეფემ
და ჩემსავით აწამებენ? —

უცებ გოგოს რა ხმა ესმის?
ვიღაც გვირაბს თხრის კუთხეში!
აგერ ისიც! იატაკი
ამოხვრიტა ნელა-ნელა,
განა ციცქნა ჭიანჭველა, —
იქნებოდა მუშტის ხელა.

—არ შეშინდე, —ამბობს იგი,
თხუნელა ვარ, ძმა ვარ შენი,
ნურაფერი ნუღარ გიკვირს,
ეს გზა ვნახე გადარჩენის.

მოგიკითხა ძია ყავამ,
მოემზადე, ახლა წავალთ,
რაკი შველა განვიზრახე,
არ შევირცხვენ ბიჭი სახელს!

აბაკუნებს გოგო ფეხებს,
მადლობის თქმას ძლივს ახერხებს!
სიხარულით ზეცას სწვდება
თან თხუნელას ეკითხება:
—ბარვინოკის ხომ არ იცი?
ჯურღმულშია ალბათ ისიც.
—არა, შენსკენ მოჰქრის რაშით,
თვითონ ნახავ ერთ საათში.
გაუგია, შენ რომ გიჭირს
და საშველად მოჰქრის ბიჭი.
ამბობს, ერთი ხმალი მომცა,
ამ ბამბუკებს ამოვხოცავ.

აჰა, უკვე ბნელ გვირაბში
მხსნელს სირბილით მისდევს ბავშვი.
—ერთი კვირა ვთხრიდი მიწას,
მივაღწიე ბოლოს მიზანს.
ამ ჭერს ზემოთ მეფე ცხოვრობს,
ბოროტი და ფეთიანი,
კი არ ცხოვრობს, მუქთახორობს
სამას წელზე მეტი არი.
პაპისაგან გამიგია, —
ბიჭი გოგოს ეუბნება, —
მას ბულბულის ეშინია,
ის რომ გალობს, გულზე სკდება.
დამიჯერეთ, იმ ბულბულის
ხმა რომ ახლა გაიგონოს,
გაუსკდება წამსვე გული,
მოეღება მეფეს ბოლო.
—შეიძლება, —ამბობს გოგო,
მაგრამ შენ თქვი, აბა როგორ?
ალბათ იცი, არ ხარ ბავშვი, —
უცხო მხარეს, ტყვეობაში
თვით ბულბულიც კი არ გალობს,
იტანჯება, ჯავრობს, წვალობს.

## VII

ჩვენი ბიჭი ბარვინოკი
თავის რაშით აქეთ მოჰქრის.

გამხდარია, გარუჯული
და მხურვალე უცემს გული.
გადმოლახა ხშირი ტევრი
და მდინარე ბევრზე ბევრი.
ის მშიშარებს სულაც არ ჰგავს,
თუმცა ერთხელ გზაც დაკარგა,
მაგრამ მაინც არ შეშინდა,
მოდიოდა ტყეში მშვიდად,
—გზას არ უნდა ბევრი ძებნა,
წადი, მარცხნივ გააჭენე! —
მხეცებმა და ფრინველებმა
გზადაკარგულს გზა აჩვენეს.

სად ტბა შეხვდა, ბეჰემოტი
იქცეოდა მისთვის ტივად,
გასძახოდა: —ჰე! ჰე! მოდი,
იმ ნაპირზე ხელად მივალთ.
ერთი-ორჯერ ლამში ჩაფლულს
მიეხმარნენ ნიანგები,
—რა ბიჭია, აფსუს, აფსუს! —
და ზურგები მიაგებეს.
ვირთხებისგან იხსნა ერთხელ
გველმა —ელვასავით სწრაფმა.
სპილომ ჰკითხა: გიშლის ეს ტყე?
ამ წუთშივე გაგიკაფავ!
გულზე ცეცხლი ედებოდა,
გვირილას რომ იხსენებდა,

ზოგჯერ გზაში ჩერდებოდა
და ლომებთან ისვენებდა.
სხვაც შველოდა ჩვენს გმირს ხშირად,
დაასკუპდა ბოლოს ჟირაფს, —
ეგებ სადმე მოჰკრას თვალი
მეფის განთქმულ სრა-სასახლეს,
—აგერ ისიც! ეს ის არის! —
ბიჭი უცებ დაიძახებს,
ჩამოხტება, ჯდება რაშზე
და ქარივით მიჰქრის გზაზე.

## VIII

ბამბუკ-მეფე არის სწრაფი,
როგორც ქარი, ისე დაჰქრის.
ყველაფერი აქვს ბამბუკის
თავშიც გვარიანად უქრის.
თვალები აქვს, როგორც ბურღი,
ხმა მიუგავს ზეცის ქუხილს.
მწვანე თმა აქვს, წვერიც მწვანე,
წვერს თხასავით აცანცარებს.
სასახლეშიც, რა თქმა უნდა,
ბამბუკის აქვს ყველაფერი
და ლაპლაპებს მზეზე მუდამ
იატაკი, ტახტი, ჭერი
პორტრეტი ჩანს ერთ კუთხეში —
ბამბუკ-მეფე ზის გაბღენძვით.

გრძელი წვერით, ცივი მზერით,
ამაყი და ბედნიერი.
ხან თვლემს მეფე, ხან სვამს ყავას,
ჭირვეულობს სულ ერთთავად,
სულ ვიღაცის მოკვლა უნდა,
მშვილდ-ისრისკენ იწევს მუდამ.
არ აქვს შიში, არ აქვს რიდი,
ცალ თვალს ჭუტავს, არჩევს მიზანს.
ბამბუკისა არის მშვილდი
და ისრებიც ბამბუკისა.

სავარძელში მისი შვილი
ზის ყვავილი —ყოჩივარდა,
ნაღვლიანი ჩუმად ტირის,
გოგო ლამის მოკლას დარდმა.
არც სიმდიდრე უხარია,
არც მდიდრული ტანსაცმელი,
მწარე ფიქრებს წაუღია,
არსაიდან ხსნას არ ელის.

ეკითხება მეფე ასულს:
—რატომ დარდობ, მითხარ, რა გსურს?
—ეხ, მომბეზრდა ყველაფერი,
ვერ გაიგებს ჩემს დარდს ვერვინ!
—გადაგივლის, მოსვი ყავა.
—სულ ერთთავად სმა და ჭამა!
დავიღალე სმით და ჭამით,
გართობა მსურს სულ სხვა რამით,

მსურს ვესტუმრო რომს და პარიზს,
ვნახო, ქვეყნად სად რა არის,
მეც ვიცეკვო, მეც ვიმღერო,
ყელი კოხტად მოვიღერო.
აღარა ვარ უკვე ბავშვი,
მძულს კუნძული ტულუმბასი!
—ბრაზიანი ვიღაცა ხარ!
შენ აქედან ვერსად წახვალ!
რახან აღარ გინდა წოლა,
შეგასწავლი, მოდი, სროლას —
მოიმარჯვა მშვილდ-ისარი,
გადასწია ფანჯრის ფარდა,
სამჯერ სტყორცნა: —არის, არის! —
დედა ყვავი ჩამოვარდა!
ხარობს მეფე: ხა-ხა! ხა-ხა!
ბრაზობს გოგო: —ჯალათს გავხარ!
—გამახსენდა კარგი რაღაც,
გაგახარებს, აი, ნახავ!
გოგონა მყავს შენი ტოლი,
თეთრზე თეთრი, როგორც თოვლი,
ახლავ მოგგვრი, ჰგავს გაზაფხულს
და არა ჰგავს არცერთ მსახურს.
—მომიყვანე!
—ჯერ ნუ ჩქარობ!
სარდაფში გვყავს, ცოტა წვალობს.
გვინდა ჯერ იქ „დრო ატაროს“
და ზრდილობა შევასწავლოთ...

ყოჩივარდას ცრემლი წასკდა:
—ბურთაობა მინდა მასთან!
მეფე ხელად ტახტზე ახტა,
კეფას იფხანს, ფიქრობს, რა ქნას.
დაუსტვინა. ადგა. დაჯდა.
მის ფეხებთან მაჩვი გაჩნდა.
მეფეს თვალში შესციცინებს,
ბანჯგვლიან კუდს აქიცინებს.
—რა ამბავი მომიტანე?
—არ ვუჯერებ, მეფევ, თვალებს!

რაღაც ხდება საშინელი,
ახმაურდა მთა და ველი,
ძაღლებივით ირგვლივ ყეფენ:
—არ გვინდაო ბამბუკ-მეფე! —
მეფე ამბობს: —ხალხს ვინ ჰკითხავს,
ხალხი ბრბოა. შენ ეს მითხარ,
გვირილა თავს როგორა გრძნობს,
ხომ გიჯერებს, ხომ არ ანცობს?
—ჩემთვის თქმაც კი ძნელი არი, —
გაპარულა საზიზღარი! —
გადირია მეფე ლამის:
—უქნარები ხართ ყველანი!
ერთ გოგოს ვერ უდარაჯეთ,
ის ყოფილა თქვენზე მარჯვე!
არ იზრუნეთ მასზე ალბათ,
არ მიეცით კარგი კაბა,

არც მძივები, არც მანქანა —
საკმარისი არ გვაქვს განა?
ისიც მიტომ გაიპარა,
არ ვარგიხართ, არა, არა!
მაგრამ ახლა რას ვუშველით,
თუმცა საქმე არის ძნელი,
მოვძებნი და ხელფეხ შეკრულს
კვლავ ხაროში ჩავსვამ ბედკრულს.

ბიჭი? ბიჭი მიქრის რაშით,
მიაჭენებს ფაფარგაშლილს,
არ ჩერდება ერთი წუთით —
დღე მოელის მეფეს ცუდი,
პრინცესა კი ტირის, ღელავს,
სიტყვებს ისვრის, როგორც სეტყვას:
—ვერ იპოვეთ გოგო? ვერა?
ყველას თავებს გაგიხეთქავთ!
ტახტი რომ დგას, იმ კუთხეში,
აწკრიალდა ტელეფონი,
გოგო ყურმილს იღებს ხელში:
—გვირილაა, —ამბობს, —მგონი.
თან ჩასძახის: —ალო! ალო!
ვინ ხარ, მითხარ, რაღას წვალობ!
ბარვინოკი? —უკვირს ასულს, —
მეფეს ვთხოვო? გენაცვალე,
ის ახლავე გაგცემს პასუხს.
გამოესხა მეფეს ფრთები,
შვილს ყურმილი გამოსტაცა:

—მოსვლა გინდა? გელოდები! —
და უბრძანა თავის დაცვას:
—ბარვინოკი მოდის. აბა,
გაუმზადეთ საშვი სწრაფად!

ეცინება ყოჩივარდას:
—საქმე როგორ შეტრიალდა! —
მაჩვს უსკდება შიშით გული,
ტანში ჟრუანტელი უვლის:
—მეფევ, ის რომ აქ მოვიდეს,
რაღაც ხიფათს გადაგვკიდებს.
იმას შენი ტახტი უნდა,
მეფევ, საქმე მიდის ცუდად!

ესა თქვა და მეფემ ერთი
ისე მაგრად ჩასცხო ფერდში,
დაიგმინა მაჩვმა საწყლად
და იატაკს დაენარცხა.

ამ დროს ბიჭიც შემოვიდა
და გაჩერდა ზღურბლთან მშვიდად.

ყოჩივარდა ხელად მიხვდა,
მეფეს საქმე ჰქონდა ვისთან.
გულადია, გამბედავი,
გაუსწორა ბამბუკს თვალი.
ბიჭმა ქუდი მოიხადა,
მიიხედა, მოიხედა:
—აქ ხელმწიფე თქვენ ხართ, არა? —

და ბამბუკი შიშს ვერ ფარავს.
—მე სურვილი მქონდა ერთი:
შემეძინა ცოდნა მეტი.
ეს მხეცი კი რას გვერჩოდა,
ბავშვი რად არ შეიცოდა.
—გვირილა სად გადამალე,
მიპასუხე მისტერ მაჩვო,
თორემ აქვე დაგთხრი თვალებს,
კუდს მოგაგლეჯ და დაგახრჩობ!
ჩქარა მეთქი, რაღას უცდი! —
მოუღერა თანაც მუშტი.
მიეშველა მას ბამბუკი:
—ამ ბიჭს მგონი თავში უქრის!
შენ აქ ყვირილს როგორ ბედავ,

რისი იმედით ხარ, ნეტავ?!
დაიხსომე, რომ გვირილა
ჩვენთან ცხოვრობს ტკბილად, თბილად,
კარგად იცის ჩვენი ფასი,
უყვარს ჩვენი ტოლუმბასი.
გოგო არის ძალზე ხრდილი.
დედა-ენა აღარც ახსოვს,
თავად ამბობს, მე სურვილი
სახლში წასვლის აღარ მაქვსო.
—ბამბუკ-მეფევ, ჩუმად იყავ,
თორემ გაძლევ კაცურ სიტყვას,
კარგი დღე არ დაგადგება,
ვერ გიშველის თავის ქება,
დააბრალე შენს თავს მერე.
ლაყბობით ვერ დამაჯერებ!
მე არ მჯერა თქვენი, გესმის,
არც შენი და არც ამ მხეცის!

სად გყავთ ბავშვი, აღარ იტყვით?
ნარეკალა სად გყავთ ბრიყვი? —
წამოფრინდა ყოჩივარდა:
—წარმოდგენა არის მართლაც!
შენ, ბარვინოკ, ნუღარ ღელავ,
მოდი დაჯექ, გარეთ ცხელა.
ამ დარბაზში ყოფნას რა ჯობს,
მოდი, ბურთით ვითამაშოთ,
ეს ოთახი გასაჭენი
სპორტდარბაზი იყოს ჩვენი —

და გოგონამ დიდი ბურთი
გადაუგდო ბიჭს კისკისით,
ბურთი მაღლა ახტა წუთით,
აკისკისდა თითქოს ისიც,
მერე კედელს დაეჯახა,
ბარვინოკთან გაჩნდა ახლა,
ბიჭმა ხელი გაჰკრა კოხტად
ბურთი მეფეს ცხვირზე მოხვდა...
ყოჩივარდა ლაღობს, ხარობს
და რაკრაკებს, როგორც წყარო!

როგორც ბავშვი, დახტის ბურთიც,
არ ჩერდება ერთი წუთით,
მაჩვს მოხვდა და წააქცია,
არის ერთი რია-რია...
ბაშვებს ძლიერ უხარიათ,
ხელმწიფესაც უხარია, —
ყოჩივარდა —მისი შვილი,
აღარ სწუხს და აღარ ტირის...
არვის ესმის ერთ კუთხეში
სკამქვეშ ვიღაც როგორ ხვნეშის.
ეს —თხუნელა კედლის პირას
გვირილასთვის ბურღავს გვირაბს.

აგერ ისიც, ამობრძანდა
და გაჩერდა იქვე სკამთან:

—ბურთს თამაშობთ? რა კარგია!
დასვენებაც ამას ჰქვია! —

ბარვინოკი იფშვნეტს თვალებს:
—შენ ხარ, დაო, გენაცვალე!
მაჩვს ხელმწიფემ გაჰკრა მუშტი,
გაისროლა, როგორც ბუშტი.
ხოლო ბიჭი ცაში ფრინავს,
სიხარულის ცრემლს ვერ მალავს
და თეთრ ყვავილს, პაწაწინას,
გულში იკრავს წარამარა.

—წასვლის დროა, კარგად გნახეთ! —
ამბობს ბიჭი და კარს აღებს.

წინ გადუდგა ორი დანა,
მცველებად რომ კართან დგანან:
—ვერ გაგიშვებთ! —თქვეს მათ მწარედ, —
ვიდრე მეფე არ გვიბრძანებს!

ბამბუკ-მეფე ცივად ღნავის:
—სად გგონიათ თქვენი თავი?!
თქვენ დაგრგავენ ლარნაკებში,
ამ ფანჯრებზე განლაგდებით!

ბიჭი ყვირის: —როგორ ბედავთ!
მეფე ამბობს: —არ გსურს, ვხედავ,
აქ შეიძენ შენ ბევრ ცოდნას,
გაწვალდები თუმცა ცოტა.
—საზიზღრებო! —ყვირის ბიჭი, —
მოგეღებად ბოლო, ვიცი,

მეამბოხე ხალხი მოვა,
გადგექცევათ ლხინი გლოვად.
ეცინება მეფეს უშნოდ:
—ვინც მე მიმტრობს, სისხლს გავუშრობ!
მე არ ვიცი, რაა შიში,
ჯადოქრების მე ვარ ჯიშის,
დაიხსომე, ჩემთვის ტყვიას
მხოლოდ თბილი წვიმა ჰქვია.
ვინ იქნება, მითხარ, განა
ხელმწიფობა ჩემი არ ცნოს?
არ არსებობს ქვეყნად ძალა
ბამბუკი რომ დაამარცხოს!

შენ ტყუილად გაიოცე,
აგერ ჩემი მშვილდ-ისარი,
რამდენჯარაც გინდა მტყორცნე, —
მომხვედრია ვითომ ქარი!

გამოართვა, სტყორცნა ჩქარა
და შინ თვალში გაუყარა.
—კარგად ისვრი. აბა, ერთიც!
სტყორცნა, ისიც მოხვდა ფერდში.

მეფე ხარობს, მწვანე თვალებს
აბრიალებს, როგორც ძერა:
—მე რომ ვერვინ დამამარცხებს,
ახლა მაინც არა გჯერა?

—გასაჭირში, —ბრძენს აქვს თქმული, —
ჩავვარდები მხოლოდ მაშინ,

თუ ბულბული მთელი გულით
იგალობებს ამ ჩემს ბაღში.

მაგრამ ვიცი, უცხო მხარეს
ის არ გალობს, მოსთქვამს მწარედ.

ამბობს მეფე, იქნევს ხელებს,
მერე სწრაფად უხმობს მცველებს,
შემოცვივდნენ ხმლებით ხელში
და გაჩერდნენ ერთ კუთხეში.
შემოვარდა, როგორც მთვრალი,
ნარეკალაც ხელში დანით.
დგას, გვირილას უმზერს ბრაზით,
შუბლზე დიდი კოპი აზის.

და ხელმწიფე ბრძანებს რიხით:
—აბა, ჩარგეთ წესით, რიგით!
ბიჭი ჩარგეთ იმ ქოთანში,
გვირილა კი —ამ ქოთანში!

გაიყვანეთ მერე გარეთ,
გამოსცადონ სიცხეც ბარემ! —
გაიბრძოლა ბიჭმა ხმალით,
მაგრამ მაინც სძლიეს ძალით.
ვერც გვირილამ იხსნა თავი,
ისიც ჩარგეს საცოდავი.
მზე აცხუნებს ბავშვებს ცხელი,
აქ მათ კარგი დღე არ ელით.
ყოჩივარდას სცვივა ცრემლი,
იქვე გდია ბურთი სველი.

## IX

მზე აცხუნებს გარეთ ცხელი,
გაშრობიათ ბავშვებს ყელი.
ყველაფერი დუღს და იწვის,
აგერ, ვიღაც უკვე გახმა.
—სიცოცხლედ ღირს, —ამბობს ბიჭი, —
ერთი ყლუპი წყალი ახლა.
თუმცაღა გვჭირს ვუიც, ვაიც,
შემწეობას არ გთხოვთ მაინც
და ბავშვების ჯიბრზე იქვე
წყალს ხვრეპს მაჩვი ძალის-ძალით,
ხოლო მეფე ბროლის ჭიქით
ხელებს იბანს წყაროს წყალით.

ყოჩივარდა გაჩნდა წუთით,
წყალი მისცა თითო ყლუპი.
საღამოთიც —უცებ, ცოცხლად —
ყვავილები ჩუმად მორწყა,
ზედ ლაბადაც დააფარა,
მერე სახლში შეაპარა.
გამოცოცხლდნენ, გაიხარეს,
სურნელს ჰფენდნენ ყოველ მხარეს.
რა ხანია, მეფეს სძინავს,
მსახურების ისმის ხვრინვა.
მთიდან ქროლავს თბილი ქარი,
ისმის ჩუმი საუბარი:

—ნეტა რამე გვეშველება?
ცივა, თუ მე მეჩვენება?
—ეჰ, გვირილავ, ჩემო კარგო,
იმედს უცებ ნუ დაკარგავ
აი, სწორედ ახლა უნდა
გავიხსენოთ პაპის ფუთა,
ის გვიშველის, თუ გვიშველის,
ის იქნება მხსნელი ჩვენი.
—ყველაფერი ხომ გაქვს ისევ? —
და პასუხობს ბიჭი მყისვე:
—შევინახე ყველაფერი,
თან ატარებს ჩვენი ცხენი.

—შეხე, ტოტზე! —ყვირის გოგო, —
ბულბულია ჩვენი! ოჰო!
შენ ხარ მართლა? გვითხარ ბარემ,
ხმა გაგვეცი, გაგვახარე!
—დიახ, მე ვარ, ტოტზე ვზივარ,
ველოდები დილას მზიანს.
თუმც ამ მხარეს ცხელი ჰქვია,
ჯერ სითბო არ გამიგია.
—გთხოვთ, ერთხელაც გაგვაგონო
ეგ შენი ხმა მშვენიერი...
—გთხოვთ, იმღერო...
—აბა როგორ?
უცხო მხარეს მე ვერ ვმღერი.
აი, იქ რომ ვიყოთ სამნი,

ჩვენს მშვენიერ იმ ბოსტანში,
სადაც სუნი იასამნის
სითბოსავით გვივლის ტანში,
რა აჯობებს იქ სიმღერას,
იქ მიწაც კი მუდამ მღერის,
სამშობლოში არის მხოლოდ
ყველას გული ბედნიერი...

სამნი უხმოდ სხედან, სდუმან.
მერე ბიჭი უსტვენს ჩუმად.
ერთი წუთიც არ გასულა —
მასთან გაჩნდა ცხენი უმალ.

სძინავს ყველას —მეფეს, მცველებს,
რაში დაჰქრის ქოთნებს შორის.
სიჩუმეა. ისმის მხოლოდ
თესლეულის შარიშური.

ბიჭი ჩქარობს. იღებს იგი
თესლეულს და აბნევს ირგვლივ,
როგორც პაპამ უთხრა, ისე, —
და გათენდა მალე კიდეც.
ვარდისფერი გაჩნდა ბალბა
(გაეხარდა მასაც, ალბათ! )
მოეხვია მას მხვიარა,
იქვე ძეწნამ გაიხარა.

დაიბადნენ, გაიბადრნენ
ირგვლივ ბოსტნის ბინადარნი,

იცინიან... ადის ცამდე
ჟრიამული და ხარხარი.

სუყველა რომ მოელოდით,
აგერ, პაპა გოგრაც მოდის,
აგერ, რომ ვერ მალავს სიცილს, —
პირშუშხაა —ბიჭი ფიცხი.
აგერ სხვებიც —ერთი, ორი...
ხახვი, კიტრი და ნიორი,
მზესუმზირა, კარტოფილი
და სტაფილო ტკბილზე ტკბილი...
შეიკრიბნენ ისევ ერთად,
იხსენებენ ხან რას, ხან რას,
სიმღერა სურს ქორფა რეჰანს,
ცეკვა უნდა მწვანე კამას.
ბადრიჯანი სტვირზე უკრავს,
—ტაში, ტუში! ტაში, ტუში! —
პაპა გოგრა მძიმედ ბუქნავს,
უხარია მოხუცს გულში.
ბარვინოკმა გაიხარა,
თვალი ცრემლით დაუსველდა:
—გამარჯობა, ჩემო მხარევ,
მშობლიურო ჩემო დედავ!
სიზმარია, თუა ცხადი?
ავისრულებ ახლა წადილს!
ეს დაიკო არის ჩემი,
დილის მზეში ელავს თეთრად.

ჩვენთან არის პაპაჩემი
და ბულბულიც არის ჩვენთან!
მის გულს მკერდი ვეღარ იტევს,
გულს, მომღერალს, პაწაწინას,
აი, უკვე გალობს კიდეც:
—საყვარელო უკრაინავ... —
მშობლიური ტყე და ჭალა
ყველას თვალწინ გადეშალა,
ხმა ბულბულის სწვდება ზეცას,
სიხარულით ტირის ძეწნაც.

აივანზე მეფე გაჩნდა,
ჭირვეულობს, როგორც ბავშვი:
—ჩემი აღსასრული დადგა,
ბულბული რომ გალობს ბაღში!

მოგრიალდა მაჩვი „ჯიპით“,
შორით ისმენს მეფის წრიპინს:
—აბა, ჩქარა, თვითმფრინავში!
თვითმფრინავში ჩქარა ჩამსვით!
ჩაკეტილი გახსნეს გზები,
„ჯიპი“ უკვე მიჰქრის პორტში,
მიაცილებს კაქტუსების
ეკლიანი მას ესკორტი.
თვითმფრინავში სხედან უკვე
მეფე, მაჩვი, ნარეკალა.
აღრიალდა აქ ბამბუკი:
—ყოჩივარდა დაგრჩათ, განა!

მაჩვი ამბობსს: —მეფევ ჩვენო,
შეტრიალდა საქმე გლახად,
მოდი, ჯერ ჩვენს თავს ვუშველოთ,
ყოჩივარდას მერე ვნახავთ.

ხოლო ხალხი,
ხალხი იბრძვის
და ყიჟინით მიდის წინ-წინ.
წინ გაიჭრა ერთი სპილო,
კაკტუსების ხოცვას ცდილობს.

გორილები, ბიზონები
მათ ქოთნებში რგავენ სწრაფად:
—თქვენ დაიწვით მზეში ახლა,
უწყლოდ როგორ გაძლებთ, ვნახავთ!
სისხლს ბრძოლაში სხვებთან ერთად
ნიანგების რაზმიც ღვრიდა.
მიირბინეს მათ ბავშვებთან,
გამოიხსნეს ტყვეობიდან.
აქამდე რომ არსად ჩანდა,
გამოვარდა ყოჩივარდაც.
მოიტანა ბურთი ჭრელი,
გადაუგდო სპილოს ხელით.
ამოარტყა ფეხი სპილომ,
ბაჯბაჯამ და სასაცილომ,
გაფრენილ ბურთს მისწვდა წამით —
ლომმა სდრუზა დიდი თავი.

იქ ბურთს ისვრის ყოჩივარდა,
აქ მარტორქამ რქა აძგერა...
თამაშობდნენ ისე კარგად,
მართლაც ღირდა მისი ცქერა!

უცებ ამბობს შავი ყავა:
—უნდა გითხრათ, ვიდრე წავალ,
რომ დღეიდან ტულუმბასი
თავისუფლად ივლის სხვა გზით.

ჩემს ხალხს სიტყვა უნდა მივცე:
შეგიძლიათ იყოთ მშვიდად,
სიხარულით ვუმასპინძლებთ
ყველა სტუმარს შორი მხრიდან.
ბედნიერად ვაქცევთ მალე
ყველა ხეს და ყველა ფოთოლს.
დავახატებთ ჩვენს ღერბს ხვალვე
ჭრელს ბურთსა და ცისფერ ლოტოსს.
ამოვარდა თითქოს ქარი,
აშრიალდა ცაში ფრთები,
საიდანღაც გაჩნდა ჯარი
წეროების, ყარყატების.
ზეცა თეთრდა გადიპენტა —
ფრთები, ფრთები, ფრთები ცაში...
შეკრებილა ყველა ერთად,
მიფრინავენ თურმე სახლში.

რა ცად დაიღალნენ ქროლით,
ძირს დაეშვნენ, გუნდად დასხდნენ,

მერე მათი წინამძღოლი
ეუბნება ბავშვებს ასე:

—ჩვენ აქ თქვენთვის ჩამოვფრინდით.
არ დამდგარა ვიდრე ბინდი,
ფრთებზე ფრთხილად დამასკუპდით,
მოდით მეთქი, რაღას უცდით!
ჩვენი მხარე როგორ გველის,
ჩვენი მიწა სანატრელი!

შავი ყავა ამბობს წყენით:
—მასპინძლობა გვინდა თქვენი.
ცოტა ჩვენთან შეგესვენათ,
მოასწრებდით მერეც ფრენას!
—გმადლობ! —ამბობს ბარვინოკი
და ცრემლს იწმენდს თვალზე ბავშვი.
ზოგი ტირის, ჰკოცნის ზოგი —
—წასვლის დრო ა, კარგად დარჩით!
—ჩვენთან კიდევ მოხვალთ როდის? —
ძლივს ლუღლუღებს ბეჰემოთი.
სპილოს განშორება უმძიმს,
ბიჭთან მიდის, ხორთუმს უწვდის.

მოიხადა ბიჭმა ქუდი,
გადახედა ყველას წუთით.
წინ წამოდგა ვაუკაცურად
და თქვა (თუმცა ძლიე ღელავს):
—ჩვენს ბოსტანში გიწვევთ სტუმრად
ყავას, ბანანს, ყველას, ყველას!

არ გასულა ერთი წუთიც
აიშალა მათი გუნდი.
ბიჭი უკვე მიჰქრის ცაში,
გვერდითა ჰყავს გოგოც, რაშიც.
სიხარულიც უცემთ გული,
დღეა მართლაც არნახული,
იქ, ბოსტანში მშობლიური
ელოდებათ გაზაფხული.

# შინაარსი


ვინ არის ბარვინოკი 3

როგორ გახდა ბარვინოკი გმირი 5

როგორ გაშრინდნენ ბარვინოკი და
გვირილა ზღვის გაღმა 51